# საქართველოს რესპუბლიკა

ელექტრონული ვერსია იხილეთ SAKRESP.GE

გამოდის 1918 წლიდან ● ფასი 1,5 ლარი

№125-126 (10128-10129) 2026 წლის 14 სექტემბერი, ორშაბათი





## რატომ არ ამოსდე ლაგამი შენს ოჯახს და სანათესაოს?!




გია ჯაფარიძე:

## შინაომებისთვის არ მცალია, მე ყველგან სიყვარულს ვთესავ!

## ოპოზიციური „სანტა-ბარბარა“ გრძელდება




მილიონები, „ლუზერი“ ბელადები და გაყოფილ-შეზელილი პოლიტიკა

## წყალტუბოს არქიტექტურა ნიუ-იორკში მოხვდა

12

6

მაგთი MAGTI

## მაგთის Mesh Wi-Fi ძლიერი ინტერნეტსიგნალი შენობის ყველა წერტილში




მამუკა მამულაშვილი:

## ფარცხალაძის სამხედრო ღირებულება არის ნული!

## საწვავის მორიგმა გაძვირებამ, შესაძლოა, პროდუქტებზე ფასების მატება გამოიწვიოს







## შვილმკვდარი დედა




## ბრიტანელი მეცნიერების საშიში ექსპერიმენტი

# რუსული პარადოქსი

## ისტორიის ირონია თითქმის დაუნდობელია

**ათიოდე დღის წინ მოსკოვმა სოხუმსა და ცხინვალში მათი ე.წ. „დამოუკიდებლობის“ პომპეზური აღნიშვნა შემოგვთავაზა ? ფილმების გადაღებით და „საზეიმო“ კონცერტებით. პარალელურად კი სამხრეთ კავკასიაში რუსეთის გარეშე ისეთი პროცესები ვითარდება, რომელსაც ჯერ კიდევ 10-15 წლის წინ მოსკოვში თითქმის წარმოუდგენლად მიიჩნევდნენ: რეგიონის ახალი გეოეკონომიკური არქიტექტურა ისტორიის განვითარების ამ ეტაპზე სულ უფრო მკაფიოდ შენდება არა მის გარშემო, არამედ რუსეთის გვერდის ავლით. სამაგიეროდ – სოხუმსა და ცხინვალში კოლექტიური „გაზმანოვების“ და „ბეზრუკოვების“ კონცერტები იმართება. მოსკოვის სამხრეთკავკასიური პრიორიტეტები გეოპოლიტიკური ლოგიკის მიღმა რჩება.**



**ამ ალოგიკურობაში კი ყაზახეთი და ცენტრალური აზია სატვირთო ნაკადებს კასპიის ზღვის გავლით აზერბაიჯანისკენ მიმართავენ; აზერბაიჯანი ალათში უმნიშვნელოვანეს ლოჯისტიკურ კვანძს აყალიბებს; საქართველო ამ სისტემის მთავარ სახმელეთო და შავიზღვისპირა გასასვლელი ხდება დასავლეთის მიმართულებით; თურქეთი კი მის ბუნებრივ გაგრძელებას ქმნის ევროპისკენ. ამავე დროს ღრმავდება საქართველოსა და სომხეთის ენერგეტიკული ურთიერთდაკავშირებაც. შედეგად ჩვენ თვალწინ იკვეთება ახალი ღერძი: „ცენტრალური აზია-კასპიის ზღვა-აზერბაიჯანი-საქართველო-თურქეთი-ევროპა“, რომლის ფუნქციონირებისთვის რუსეთის სატრანზიტო ტერიტორია უკვე აღარ არის აუცილებელი.**

და სწორედ ეს არის მოსკოვისთვის ყველაზე უსიამოვნო ცვლილება: რუსეთს რომელიმე კონკრეტული პროექტიდან კი არ აძევებენ – რუსეთი თანდათან კარგავს იმ სტატუსს, რომელიც თითქოს სოხუმისა და ცხინვალის კონცერტებზე გაცილებით მნიშვნელოვანი უნდა იყოს მისთვის – რეგიონული გეოგრაფიული აუცილებლობის სტატუსს. ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ ამისთვის არავის შეუქმნია ერთიანი „ანტირუსული ფრონტი“ – თვით საქართველოს ჩათვლით: **ყაზახეთი ახალ ინფრასტრუქტურას იმიტომ ქმნის, რომ მსოფლიო ბაზრებზე გასასვლელების დივერსიფიკაცია სჭირდება; აზერბაიჯანს კასპიის მთავარ ლოჯისტიკურ ცენტრად ჩამოყალიბება სურს; თურქეთი ცდილობს, აზიასა და ევროპას შორის უმნიშვნელოვანესი სატრანსპორტო ხიდი გახდეს; ევროპას კი სჭირდება მარშრუტები, რომლებიც რუსეთის პოლიტიკურ ნებაზე დამოკიდებული არ იქნება.**

მაგრამ სხვადასხვა სახელმწიფოს სრულიად პრაგმატული ინტერესების ჯამი საბოლოოდ ისეთ გეოეკონომიკურ სისტემას ქმნის, რომელშიც რუსეთი ცენტრიდან პერიფერიაზე ინაცვლებს – სოხუმისა და ცხინვალის საკონცერტო მოედნებზე. როდესაც **ტრანსკასპიურ მარშრუტზე საკონტეინერო გადაზიდვები დაახლოებით 50%-ით იზრდება, საკონტეინერო მატარებლების რაოდენობა – 82%-ით, ხოლო საქართველოს პორტების ტვირთბრუნვა ამავე პერიოდში 20%-ზე მეტით იზრდება. უკვე ძნელია ამ ყველაფერს „მომავლის მორიგი დერეფნის“ პრეზენტაცია უწოდო. უკვე დღეს, აწმყოში, ჩვენ თვალწინ იქმნება რეალური მატერიალური ქსელი – რკინიგზები, პორტები, ტერმინალები, საბორნე ხაზები, ელექტროგადამცემი სისტემები – და მასთან ერთად ჩნდება მთავარი რამ: სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიას პირველად ეძლევა რეალური შესაძლებლობა, თავად აირჩიონ, საით წავა მათი ტვირთი, ენერგია და კაპიტალი – რუსეთის სავალდებულო შუამავლობის გარეშე.**

საქართველოსთვის ეს უბრალოდ ეკონომიკური შესაძლებლობა აღარ არის – ეს ისტორიული შანსია, საკუთარი გეოგრაფია სტრატეგიულ კაპიტალად გადააქციოს. ქვეყანა, რომელიც საუკუნეების განმავლობაში დიდი ძალების დაპირისპირების სივრცედ აღიქმებოდა, თანდათან ისეთ სახელმწიფოდ ყალიბდება, რომლის სტაბილურობა უკვე სხვებისთვისაც მატერიალური ინტერესის საგანია. ყაზახეთს სჭირდება გზა საქართველოს გავლით შავი ზღვისკენ; აზერბაიჯანს – საქართველოს რკინიგზა, პორტები და „ბაქო-თბილისი-ყარსის“ მაგისტრალი; სომხეთს – ქართული ენერგეტიკული და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა; თურქეთს – საქართველოს გავლით ცენტრალური აზიისკენ მიმავალი სახმელეთო კავშირი; ევროპას – შუა დერეფანი. თუ ამას ანაკლიის პერსპექტივას, ენერგეტიკული ქსელების გაფართოებასა და შავი ზღვის მიმართულებასაც დავუმატებთ, თვისებრივად ახალი მდგომარეობა იქმნება: საქართველო აღარ არის ქვეყანა, რომლის ტერიტორიაზეც უბრალოდ „ტრანზიტი გადის“.

**საქართველო ხდება კვანძი, რომლის გამოთიშვა ერთდროულად რამდენიმე სახელმწიფოს, ბაზარსა და სატრანსპორტო სისტემას შეუქმნის პრობლემას. პატარა სახელმწიფოსთვის კი უსაფრთხოების ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ფორმულა სწორედ ეს არის – შენი მშვიდობა.**

**რუსეთმა შეინარჩუნა კონტროლი საქართველოს რამდენიმე ათას კვადრატულ კილომეტრზე, მაგრამ შეიძლება დაკარგოს გაცილებით მეტი – კასპიისა და შავი ზღვის დამაკავშირებელ ახალ გეოეკონომიკურ სივრცეში ცენტრალური მოთამაშის როლი. მოსკოვმა მიიღო სამხედრო ბაზები – ყაზახეთი და აზერბაიჯანი კი ტერმინალებს აშენებენ; მოსკოვმა მიიღო მის მიერ აღიარებული სეპარატისტული წარმონაქმნები – თურქეთი ცენტრალური აზიისკენ ახალ სატრანსპორტო ხიდს ქმნის; რუსეთმა შეინარჩუნა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ მოქმედების ბერკეტი – ევროპა, ჩინეთი და ცენტრალური აზია ამასობაში კი უკვე ქმნიან მარშრუტებს, რომელთა არსებობისთვის მოსკოვის თანხმობა საერთოდ აღარ არის საჭირო.**

**ისტორიის ირონია თითქმის დაუნდობელია: კრემლი ტერიტორიებს ებღაუჭებოდა მაშინ, როდესაც მსოფლიო ნაკადებისთვის იბრძოდა. ტერიტორია, რომელზედაც არაფერი მოძრაობს, ხარჯი და ჩიხია; ტერიტორია, რომელზედაც მოძრაობს ტვირთი, ენერგია, ინფორმაცია და კაპიტალი – ძალაა.**

**დავით ქართველიშვილი**



## აფხაზეთიდან დევნილი განსაკუთრებული საჭიროების მქონე მოზარდების ხელშეწყობის მიზნით

**აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის სამინისტროს ორგანიზებით, აფხაზეთიდან დევნილი, განსაკუთრებული საჭიროების მქონე მოზარდებისა და მათი მშობლებისთვის, ბაკურიანში პროექტი „აფხაზეთიდან დევნილი შშმ მოზარდებისა და მათი მშობლების ინტეგრაციისა და სოციალიზაციის ხელშეწყობა“ განხორციელდა.**

ღონისძიებას აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე გიორგი ჯინჭარაძე და აფხაზეთის იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის მინისტრი ალიონა ჩხოტუა დაესწრნენ.

პროექტი ერთი კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა და მასში აფხაზეთიდან დევნილი, განსაკუთრებული საჭიროების მქონე 20 მოზარდი და მათი მშობლები მონაწილეობენ. ახალგაზრდები ჩართული იყვნენ ხატვის, ძერწვისა და სხვადასხვა გუნდურ-შემოქმედებით აქტივობებში. მშობლებისთვის კი, ჩატარდა თემატური ტრენინგები, რომლებიც შვილის განვითარების თავისებურებების უკეთ გაცნობიერებას, საჭიროებების სწორად დანახვასა და მხარდაჭერის პრაქტიკული უნარების გაძლიერებას ემსახურება. პროექტი აფხაზეთის იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის სამინისტროს მიერ ყოველწლიურად ხორციელდება და მისი მიზანია, განსაკუთრებული საჭიროების მქონე მოზარდების თვითგამოხატვისა და კომუნიკაციის უნარების განვითარება, მათი სოციალიზაციის ხელშეწყობა, ასევე მშობლების გაძლიერება და შვილების განვითარების პროცესში მათი მხარდაჭერა.

## „ციფრულ ეპოქაში ნდობის შენება“ განსაკუთრებით აქტუალურია!

**თბილისში GCCA-ის ორგანიზებით, მომხმარებელთა უფლებების დაცვის მაღალი დონის საერთაშორისო კონფერენცია გაიხსნა.**

საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს ორგანიზებით, (GCCA) თბილისში მომხმარებელთა უფლებების დაცვისა და აღსრულების საერთაშორისო ქსელის (ICPEN) მაღალი დონის კონფერენცია გაიხსნა. GCCA 2026/2027 წლებში ICPEN ხელმძღვანელ უწყებას წარმოადგენს. კონფერენცია 3 დღის განმავლობაში იმუშავებს მომხმარებელთა უფლებების სფეროში არსებულ აქტუალურ საკითხებზე და განსაზღვრავს ერთიან მიდგომებსა და სტანდარტებს. კონფერენციას 55 ქვეყნის 100-მდე დელეგატი ესწრება.

დელეგატებს სიტყვით მიმართა GCCA-ის თავმჯდომარემ **ირაკლი ლექვინაძემ**. მან თავის გამოსვლაში ყურადღება გაამახვილა მომხმარებელთა დაცვის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერების, თანამედროვე ციფრული გამოწვევების საპასუხოდ, ეფექტიანი მექანიზმების განვითარებისა და ციფრულ ეპოქაში ნდობის შენების მნიშვნელობაზე.

**„მოხარული ვარ, რომ საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო ამ მნიშვნელოვან საერთაშორისო კონფერენციის მასპინძელია. ეს შეხვედრა გვაძლევს შესაძლებლობას, სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილება გავიზიაროთ, ერთად ვიმსჯელოთ მომხმარებელთა დაცვის სფეროში არსებულ თანამედროვე გამოწვევებზე და კიდევ უფრო გავაძლიეროთ საერთაშორისო თანამშრომლობა.**

**დღეს, როდესაც ციფრული ტექნოლოგიები მომხმარებელთა ყოველდღიურ ცხოვრებას სწრაფად ცვლის, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ნდობის, გამჭვირვალობისა და სამართლიანი ციფრული გარემოს უზრუნველყოფა. სწორედ ამიტომ, კონფერენციის მთავარი გზავნილი – „ციფრულ ეპოქაში ნდობის შენება“ განსაკუთრებით აქტუალურია“.**

კონფერენციის მონაწილეებს სიტყვით მიმართეს საქართველოს მთავრობის, პარლამენტის, აღმასრულებელი და ადგილობრივი ხელისუფლების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სხვადასხვა ქვეყნის მომხმარებელთა დაცვის უწყებების მაღალი რანგის წარმომადგენლებმა „საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსმა **ლევან ჟორჟოლიანმა,** ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა **მიხეილ სარჯველაძემ,** საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა **დავით სონღულაშვილმა,** საქართველოს იუსტიციის მინისტრმა **პაატა სალიამ,** საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა **ნათია თურნავამ** და საქართველოს პარლამენტის ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარემ **შოთა ბერეკაშვილმა.**



## ზოგჯერ თქმითაც დაშავდების...

ადამიანმა როგორც კი ანბანი გამოიგონა (მნიშვნელობა არა აქვს, ეს ანბანი იეროგლიფი იყო, სოლისებური თუ ხატოვანი), მაშინვე წერილების წერა დაიწყო. არც იმას ჰქონდა მნიშვნელობა, ეს წერილები რაზე იწერებოდა — ქვაზე, ტყავზე თუ პაპირუსზე, მთავარია, ერთ კაცს მეორისთვის შეეტყობინებინა ესა თუ ის ამბავი. თუ ადრე წერილები ძალზე მარტივად იწერებოდა, მერე და მერე გართულდა, დაიშიფრა, დაიძარღვა, იმგვარად, რომ ერთი წერია და მეორე უნდა ამოიკითხო...

აგვისტო საქართველოში წერილების თვედ იქცა. წერილები ძირითადად ციხიდან მოდის და მთელ საქართველოში ელვის სისწრაფით ვრცელდება. ავტორი — ყოფილი ორგზის პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი მოუღლელი მწერალი აღმოჩნდა, წერს, წერს, ოღონდ, რაც მეტს წერს, მით უფრო იჭედება ნათქვამ-დაწერილში, წერასაც ოსტატობა უნდა, რაც მთავარია, წერს იმას, რისი დაწერაც აშკარად ვნებს,ააშკარავებს და ამრუდებს.




# რატომ არ ამოსდე ლაგამი შენს ოჯახს და სანათესავოს?!




**განსაკუთრებული აჟიოტაჟი გამოიწვია ირაკლი ღარიბაშვილის ბოლოსწინა წერილმა, რომელშიც მან წინ წამოწია ყოფილი უფლებადამცველის ლაზარე ჯორბენაძის თვითმკვლელობის ფაქტი და ეს ამბავი დაუკავშირა გაზეთ „ასავალ-დასავალში“ დიტო ჩუგინიძისთვის მიცემულ ინტერვიუს, სადაც მამუკა მდინარაძისა და ირაკლი კობახიძის საქმიანობის „ბნელ“ მხარეებზე იყო საუბარი. ექსპრემიერმა დასვა კითხვა: “რა გახდა უფლებადამცველი ლაზარე ჯორბენაძის გარდაცვალების რეალური მიზეზი?“ და იქვე განაცხადა, რომ საზოგადოებაში „დღემდე რჩება პასუხგაუცემელი კითხვები არაერთი ადამიანის თვითმკვლელობის ფაქტთან დაკავშირებით კობახიძე-მდინარაძის მმართველობის დროს“.**

მეორე დღეს პროკურატურამ დაადასტურა **ლაზარე ჯორბენაძის** თვითმკვლელობის ფაქტი, რასაც, ბუნებრივია, უამრავი გამოხმაურება მოჰყვა სოციალურ ქსელში, მაგრამ უცნაური სიახლე, რაც ამ ამბავს ახლდა, იყო საჯარო განცხადებების საფუძველზე შინაგან საქმეთა სამინისტროში მიმდინარე გამოძიების ფარგლებში არაერთი პოსტის ავტორის **— ირმა ინაშვილის, ნიკა გვარამიას, ნანუკა ჟორჟოლიანის, ხატია დეკანოიძის, თაზო დათუნაშვილის, გია ხუხაშვილის, გიორგი ლილუაშვილის, ზაზა დავითაიას, ერმილე ნემსაძის, გიორგი გიგაურის** დაბარება.

**„ჩამოთვლილი ადამიანებიდან, ვინც დაბარებულები ვართ, ვერავის შეაშინებენ. მიზანი ისაა, რომ გააშავონ ღარიბაშვილი და წარმოაჩინონ, თითქოს მხარს ვუჭერთ. ნამდვილად არ ვუჭერ მხარს, უბრალოდ, კითხვები ჩნდება, რომელთაც პასუხი უნდა გაეცეს. შიში ოხერია და ასე ვთქვათ, ნერვულ „პალასაზეა“ ივანიშვილიც და კობახიძეც“**, — განაცხადა **გვარამიამ**, რაზეც პარლამენტარმა ნინო წილოსანმა ვარაუდი გამოთქვა: **„როგორც ჩანს, ახლა ერთ თამაშს თამაშობენ — გვარამია ღარიბაშვილს აგულიანებს, ატკინე, დააზიანე მაინცო... სამწუხაროა, რომ გვარამიას „რჩევებს“ აჰყვა ჩვენი ყოფილი თანაგუნდელი... ისიც სამწუხაროა, რომ ღარიბაშვილის პოსტმა გამოხმაურება მხოლოდ ნაცმოძრაობის აქტივისტებსა და ისეთ დეზინფორმატორებში ნახა, როგორებიც გვარამია, ჟორჟოლიანი და მათი თანამოაზრეები არიან.“**

**ლაზარე ჯორბენაძე „ასავალ-დასავალისთვის“ მიცემულ ინტერვიუში დავით გარეჯის თემასთან დაკავშირებით (იგულისხმება აზერბაიჯანისთვის კომპლექსის ნაწილის გადაცემა), ამტკიცებდა, ვითომ საკუთარი თვალით ჰქონდა ნანახი ამის დამადასტურებელი საიდუმლო დოკუმენტი ირაკლი კობახიძის ხელმოწერით. ღარიბაშვილის წერილიდან საინტერესო იყო ის ნაწილი, სადაც საუბრობს იმაზე, რომ 12 თებერვალს მდინარაძე-კობახიძის დავალებით მას შეუგზავნეს გაზეთი „ასავალ-დასავალი“ და საქმეს ურჩევდნენ: იყო თუ არა ეს მის მიერ შეკვეთილი სტატია, ან დგას თუ არა ღარიბაშვილი ამ ინტერვიუს უკან...**

„ამ „გამოკითხვების“ სერიას ორი დატვირთვა აქვს **პირველი**: მათ სურთ ყურადღების და აქცენტების გადატანა დავითგარეჯის თემიდან და მეორე — უნდათ, რომ ერთ ტაფაში მოხრაკონ სხვადასხვა მსოფლმხედველობის პოლიტიკოსები, ექსპერტები და ა. შ.“ — ასე შეაფასა ლაზარე ჯორბენაძის საქმეზე დაბარებულმა „პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერმა ირმა ინაშვილმა მთავარ სამმართველოში გამოკითხვაზე შესვლამდე.

„ლელო — ძლიერი საქართველოს“ ლიდერის **თაზო დათუნაშვილის** თქმით, **„ეს არ არის მორიგი წერილი, რომლებიც ბატონმა ღარიბაშვილმა ბევრი დაწერა, რაც უინტერესო და ძირითადად კომიკური შინაარსის იყო...აქ საქართველოს ერთი პრემიერ-მინისტრი მეორე პრემიერ-მინისტრს ხელს ადებს და ამბობს, რომ აქვს საფუძვლიანი ეჭვი კონკრეტული ადამიანის სიცოცხლის ხელყოფასთან დაკავშირებით. სწორედ ამაზე გავაკეთე პოლიტიკური კომენტარი და მომავალშიც გავაკეთებ...ქართული საზოგადოება ღირსია, იცოდეს, რომ მაშინ, როდესაც საქართველოში აბსოლუტურად ყველაფრის ფასი მომატებულია, როდესაც მოქალაქეების აბსოლუტური უმრავლესობა ყოველდღიურად ღარიბდება, ხელისუფლებას არ აინტერესებს მათი ბედი, აინტერესებს მხოლოდ ეს შიდა „კლანური“ დაპირისპირება, ბინძური „კანიბალიზმი“, რომლითაც დაკავებულები არიან“.**



წერილის შეფასებისას პარლამენტარი **გია ვოლსკი** ფიქრობს და პირად შეხედულებასთან ერთად, ალბათ, „ქართული ოცნების“ გუნდის აზრსაც გამოხატავს, რომ **„საქართველოს მიმართ დამოკიდებულების შექმნა ხდება, მათ შორის, საერთაშორისო დონეზე. არსებობს ეჭვი, რომ ღარიბაშვილმა საერთო რევოლუციურ სცენარში გარკვეული წვლილი შეიტანოს ასეთი განცხადებით, რათა შემდეგ, თუ რევოლუცია მოხდება და წარმატება ექნება, მის მიმართ რაღაც შეღავათი იყოს დაშვებული. დარწმუნებული მინდა ვიყო იმაში და ვერც წარმომიდგენია სხვანაირად, რომ ირაკლი ღარიბაშვილი მძიმე მდგომარეობაშია და შეიძლება, ვიღაცამ ისარგებლა და ცდილობს შეცდომაში შეიყვანოს“.**



ექსპრეზიდენტი **მიხეილ სააკაშვილი** ნიშნს უგებს ექს-პრემიერ ირაკლი ღარიბაშვილს: **„კარმა ოხერი რამაა... სწორედ ღარიბაშვილის ბრძანებებით და განკარგულებებით ხდებოდა ჩემი წამება ციხეში. მან ჩემს გამო გააუქმა ქართველი და უცხოელი პარლამენტარების შემოსვლა და შესაბამისად მასთანაც არავის შეუშვებენ. და, როცა აშკარად ცუდად იქნება, მისი ყოფილი კოლეგები სიმულაციაში დაადანაშაულებენ“...მიშა იქვე ლაღობს, ღარიბაშვილი მალე დადუმდება, მაგრამ დიდი ზიანი დიქტატურას მან უკვე მიაყენაო.**

მაგრამ ირაკლი ღარიბაშვილი იხტიბარს არ იტეხს. ბოლო წერილში ახალი ძალით ესხმის თავს ყოფილ თანაგუნდელებს:

**„ხელისუფლების პანიკურმა რეაქციამ და აბოლუტურად არაადეკვატურმა ქცევამ სისტემის სრული ლუსტრაცია მოახდინა. საზოგადოებამ იხილა ხელისუფლების მორიგი სასაცილო, ამავდროულად, სრულიად ამაზრზენი და ტრაგიკული მასკარადი.**

**ნაცვლად იმისა, რომ ხელისუფლებას დროული და გამჭვირვალე განმარტებები გაეკეთებინა კონკრეტულ ფაქტებსა და დასმულ კითხვებთან დაკავშირებით, ვიხილეთ არასერიოზული გამოკითხვების სერია, რომლის ერთ-ერთი მთავარი მიზანი იყო ჩემი დაკავშირება „ნაციონალურ მოძრაობასთან“ და პროცესის იმგვარად წარმოჩენა, თითქოს ეს ყველაფერი წინასწარ დაგეგმილი და რადიკალურ ოპოზიციასთან კოორდინირებული მუშაობის შედეგი იყო. ამ დღეებში გავარკვიე, რომ თურმე „დიფ სტეიტის“ აგენტი ვყოფილვარ და ამავდროულად, საფრანგეთის აგენტი...ტყუილად ნუ წვალობთ! როგორც წყალი და ზეთი არ შეერევა ერთმანეთს, ისევე შეუძლებელია ჩემი და „ნაციონალური მოძრაობის“ ერთმანეთთან დაკავშირება... ხალხმა იცის, ვინ არის ირაკლი ღარიბაშვილი და საზოგადოება ჩემს სიტყვასა და თქვენს სიტყვას ძალიან კარგად განასხვავებს“...**



პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე** იძულებული გახდა პასუხი გაეცა:

**„ძალიან სამწუხარო და ტრაგიკული მოვლენაა, რომ ყოფილი პრემიერი კონკრეტული შავბნელი გაზეთის ბლოგერის დონეზე დავიდა“. და იქვე დასძინა, რომ მისი წინამორბედის წერილები „არასერიოზულია, სასაცილო და ტრაგიკული“.**

**ეჰ, ირაკლი, ირაკლი!**

როგორ არ მემეტები სვავებადქცეული ვითომ პოლიტიკოსების მარაქაში რომ გაერიე. და არა მარტო მე. სოციალურ ქსელებში არაერთი შენი გულშემატკივარი გამოხატავს წუხილს: „რატომ, შვილო ირაკლი, რატომ უღალატე ხალხის ნდობას და სიყვარულს? ღირდა ამად ოქროს ზოდები?“; „ხომ გაგაფრთხილა ბატონმა ბიძინამ პირველი პრემიერობის შემდეგ, მიგეხედა შენი ოჯახისა და სანათესავოსთვის, ამოგედო იმათი მადისთვის ლაგამი?“; „როგორ მეგონა, რომ დალაგდებოდა ეს სიტუაცია“ და ა. შ. და ა. შ.

**ტვინს გვიბურღავს კითხვა: რა მოხდა და როგორ მოხდა? და, რაც მთავარია, რატომ მოხდა?**

**რა კარგ საქმეს იზამდი, პატივცემულო ექსპრემიერო, თუ კიდევ ერთ, ამჯერად ბოლო წერილს დაწერდი და ამ კითხვებზე გაგვცემდი პასუხს!**



**ალეკო ასლანიშვილი**

საქართველოს რესპუბლიკა

ვინ საით უბერავს?!

№125-126. ორშაბათი, 14 სექტემბერი, 2026 წელი

## მამუკა მამულაშვილი: ფარცხალაძე-რომანოვის სამხედრო ღირებულება არის ნული!




# ვის ემსახურებიან რუსეთ-უკრაინის ომის მონაწილე ქართველები?!

**„გეორგიევსკი“ – ეს არის მოხალისეთა ქვედანაყოფი, რომელიც საქართველოს ყოფილმა გენერალურმა პროკურორმა ოთარ რომანოვ-ფარცხალაძემ რუსეთში ჩამოაყალიბა. ქვედანაყოფის სახელწოდება გეორგიევსკის ტრაქტატს უკავშირდება, რომელმაც, ფარცხალაძე-რომანოვის განცხადებით, უდიდესი როლი ითამაშა ქართველი ხალხის ისტორიაში.**

**მისი თქმით, 2025 წლის 9 მაისს, აღლუმზე, რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის მიწვევის შემდეგ, მოხალისეთა კორპუსის „არბატის“ შემადგენლობაში სამხედრო სამსახურის დაწყება გადაწყვიტა, ხოლო „არბატში“ სამხედრო სამსახურის დასრულების შემდეგ, თანამოაზრეებმა ინტერნაციონალური მოხალისეთა ქვედანაყოფის „გეორგიევსკის“ შექმნა განიზრახეს. ასევე, ფარცხალაძე-რომანოვის განცხადებით, უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის მხარეს ბრძოლის გადაწყვეტილება საკუთარი ნებით მიიღო.**

**როგორც ის რუსულ მედიასთან ინტერვიუში აცხადებს, ქვედანაყოფის „გეორგიევსკის“ შემადგენლობას უერთდებიან მოხალისეები, რომლებიც რუსეთისა და საქართველოს საერთო ისტორიასა და საუკუნოვან ძმობას აფასებენ.** მთავარი მოტივაცია კი, ქრისტიანული სარწმუნოების, ტრადიციული ოჯახის, საკუთარი კულტურისა და იდენტობის დაცვაა იმ სიგიჟისა და ზეწოლისგან, რომელსაც, მისი თქმით, დღეს დასავლეთი ძალით თავს გვახვევს. მათთვის კი, ფარცხალაძე-რომანოვის განცხადებით, რუსეთი ნორმალური და ჯანსაღი ადამიანური ღირებულებების საყრდენია და მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი, რომ ეს საყრდენი იარაღით ხელში დაიცვან.

**„ჩემი მთავარი პრინციპი ყოველთვის ერთი რამ იყო: სამართლიანობა, წესრიგი და დისციპლინა. სწორედ სიმართლის სიყვარულის, მტკიცე პატრიოტული პოზიციისა და დასავლეთის წესებით თამაშზე უარის თქმის გამო უპრეცედენტო ზეწოლის ქვეშ მოვხვდი. აშშ-ის, ევროკავშირისა და დიდი ბრიტანეთის სანქციების სიებში ორჯერ შემიყვანეს. თუმცა, ეს სანქციები ჩემთვის სიმართლისთვის მიღებულ ორდენს ჰგავს“** – განაცხადა **ოთარ რომანოვ-ფარცხალაძემ.**

გარდა ამისა, ოთარ რომანოვ-ფარცხალაძე აცხადებს, რომ „ქართული ეროვნული ლეგიონის“ მებრძოლები სამხედრო დამნაშავეები არიან, რომლებიც აუცილებლად აგებენ პასუხს თავიანთ ქმედებებზე:

**„მათ მიმართ ჩემი დამოკიდებულება ცალსახაა. ისინი სამხედრო დამნაშავეები არიან, რომლებიც აუცილებლად აგებენ პასუხს თავიანთ ქმედებებზე და რუსეთის ფედერაციის კანონების შესაბამისად გასამართლდებიან“** – აცხადებს **ოთარ რომანოვ-ფარცხალაძე.**

მოსკოვში მყოფ ფარცხალაძეს უპასუხა უკრაინაში მყოფმა **მამუკა მამულაშვილმა.** „ქართული ლეგიონის“ მეთაური აცხადებს, რომ ფარცხალაძე პასუხს მიიღებს იქ, სადაც საჭიროა და ირწმუნება, რომ არ დააყოვნებენ პასუხის გაცემას.

მამულაშვილის თქმით, **ფარცხალაძე აშკარად რუსეთის კადრია და ასრულებს მოსკოვის დავალებებს, ასევე, მამულაშვილი აცხადებს, რომ ფარცხალაძეს საქართველოში უამრავი გადაწყვეტილება აქვს მიღებული რუსეთის სასარგებლოდ, რაც არა მხოლოდ მისი, არამედ იმ ადამიანების დანაშაულია, ვინც ის თანამდებობაზე დასვა. მამულაშვილის განცხადებით, ოთარ ფარცხალაძე შეეცდება რუსეთში მცხოვრები ეთნიკური ქართველები თავის ავანტიურაში – უკრაინის წინააღმდეგ ომში ჩაითრიოს.**

**„თუმცა, მისი წარმატება საეჭვოა, რადგან ფრონტის ხაზზე მას რუსეთის მხარეს მებრძოლი ძალიან ცოტა ქართველი, ისიც დაღუპულები ხვდება. ეს არის რუსული სპეცსამსახურების დირექტივა, რომელსაც ფარცხალაძე ასრულებს იმიტომ, რომ ფარცხალაძე რომ ავიღოთ, როგორც სამხედრო პირი, ამ სფეროში მისი ღირებულება არის ნული. მე არ მგონია, რომ ამ ადამიანმა იცის, იარაღი რომელი მხრიდან ისვრის. ჯერ ეგ უნდა ისწავლოს, სანამ ბატალიონს ჩამოაყალიბებს, მაგრამ აქ საუბარი ამაზე არ არის.**

**აქ საუბარია დატვირთვაზე და იმაზე, თუ საით მიჰყავთ ეს ყველაფერი. დიდი ალბათობით, მას მისცეს ბრძანება, რომ დააფინანსოს და შექმნას კიდევ ერთი ბატალიონი, ის კი ეცდება, ამ ავანტიურაში ჩაითრიოს ქართული გვარების მქონე პირები, ვინც რუსეთში ცხოვრობენ. ეს რამდენად გამოუვა, არ ვიცი, რადგან ამ 12 წლის მანძილზე ძალიან ცოტა ქართველი შემხვედრია და ისინიც დაღუპულები შემხვედრია ფრონტის ხაზზე.**

**დიდი ალბათობით, ის რუსებით იქნება დაკომპლექტებული, ერქმევა „გეორგიევსკი“ან რაღაც სხვა, ეყოლებათ რამდენიმე ქართულად მოსაუბრე, ვინც ილაპარაკებს, რომ ეს დანაყოფი ძირითადად დაკომპლექტებულია ქართველებით და, სავარაუდოდ, ამ ტიპის დეზინფორმაციასთან გვექნება შეხება“** – აღნიშნა **მამუკა მამულაშვილმა.**

საქართველოს თავდაცვის ძალების ყოფილი მეთაურის **ვლადიმერ ჩაჩიბაიას** განმარტებით, ფარცხალაძე თავადვე აღნიშნავს, რომ 9 თვის განმავლობაში იმყოფებოდა ე.წ. „არბატის“ შემადგენლობაში. მისი თქმით, ეს ქვედანაყოფი, თავდაპირველად, კრივის ფედერაციის ან რომელიღაც კლუბის ბაზაზე ჩამოყალიბდა, რომლის ხელმძღვანელებიც სომხური წარმომავლობის პირები იყვნენ. გენერალ-ლეიტენანტი მიიჩნევს, რომ ამ ტიპის დანაყოფებში საბრძოლო გამოცდილების მიღებული ადამიანები მომავალში, შესაძლოა, სხვადასხვა მიზნით გამოიყენონ. კერძოდ, არსებობს საფრთხე, რომ ისინი საქართველოში პროვოკაციული საქმიანობისთვის შემოვიდნენ.

**„ფარცხალაძე როგორც ახსენებს, ის 9 თვის განმავლობაში იმყოფებოდა „არბატის“ შემადგენლობაში. „არბატი“, როგორც ქვედანაყოფი, ჩამოყალიბდა რაღაც კლუბის ბაზაზე, რომელთა ხელმძღვანელებიც იყვნენ სომხური წარმომავლობის ადამიანები, რომლებსაც ასევე კავშირი ჰქონდათ კრიმინალურ ცხოვრებასთან. შემდეგ ეს „არბატი“ სომხეთში გამოიყენებოდა**




**ვითარების ასარევად რუსეთის სპეცსამსახურების მხრიდან. შეიძლება, ეს ქვედანაყოფი, რომელსაც ფარცხალაძე ქმნის, რუსეთის სპეცსამსახურების დახმარებით, თავსატკივარი გახდეს თუნდაც არსებული ხელისუფლებისთვის.**

**დიდი ალბათობით, ეს ქვედანაყოფი ჩამოყალიბებისთანავე გაივლის გამოცდილებას უკრაინის ფრონტის ხაზზე, დარჩენილი პირადი შემადგენლობით, მაგრამ 60% განადგურებული იქნება იმის გათვალისწინებით, რომ ინტენსიურად მიმდინარეობს ბრძოლა უკრაინაში, თუმცა გამოცდილებამიღებული ადამიანები შემდგომში შეიძლება გამოიყენონ სხვადასხვა მიზნით, შეიძლება შემოჟონონ საქართველოში და სად, რა პროვოკაციულ საქმეს განახორციელებენ, ეს თავსატკივარი იქნება საქართველოსთვის“** – განაცხადა **ვლადიმერ ჩაჩიბაიამ.**

**თამთა ქარჩავა**

# წუპაკი არამზადები

ოპოზიციურ ფლანგზე პოლიტიკური ვნებები არ ცხრება — ბრალდებები ფინანსური გარიგებების, მოსყიდვისა და ღალატის შესახებ ამჯერად „ახლებს“, „ნაციონალურ მოძრაობასა“ და იაგო ხვიჩიას პარტიას შორის მძვინვარებს. შიდა ომმა უკვე იმ მასშტაბებს მიაღწია, სადაც ძნელი სათქმელია, ეს პოლიტიკური დებატებია თუ ტრაგიკომიკური შოუ, რომლის მაყურებელიც უკვე დაბნეული ადევნებს თვალს „მოკავშირეების“ ერთმანეთისკენ ტალახის სროლას.




# ოპოზიციური „სანტა-ბარბარა“ გრძელდება

## მილიონები, „ლუზერი“ ბელადები და გაყოფილ-შეზელილი პოლიტიკა

### ნიკა გილაურის „საიდუმლო“ მილიონები და უარი დებატებზე

დაპირისპირების მთავარი ეპიცენტრი მაინც **ნიკა გვარამიასა** და **ანა წითლიძეს** შორის არსებული ფრონტის ხაზია. მიხეილ სააკაშვილის თანაგუნდელები გვარამიას ნიკა გილაურისგან აღებულ მილიონებს ახსენებენ და პასუხებს ითხოვენ, თუმცა „კოალიცია ცვლილებისთვის“ თანათავმჯდომარე პოზიციას არ თმობს.

**„ურეპუტაციო და ნულოვანი წონის პოლიტიკოსთან ეთერში, დებატებზე, რა თქმა უნდა, არ დავჯდები. თან იმის დასამტკიცებლად, რომ 40 მილიონი არ ამიღია. ბოლომდე რომ შეეზილა „ნაცმოძრაობა“ იაგო ხვიჩიას, ეს მათი არჩევანია, ვინმემ კი არ შეაზილა, შეეზილნენ თვითონ. ეგ დამთავრდება ცუდად. ნიკა გილაურთან მე პირადად მოვხვდი „ნაციონალური მოძრაობის“ მაღალჩინოსნის გავლით“,** — აცხადებს **ნიკა გვარამია**, თუმცა, ამ „საიდუმლო“ მაღალჩინოსნის ვინაობას მეგობრობის გამო არ ამჟღავნებს.

მანვე ყოფილ თანაპარტიელებს სიით ვაჭრობაც შეახსენა:

**„საარჩევნო კამპანიისთვის ფულის მოძიებაც სავსებით ლეგიტიმური რამ არის და ჩვენ სიებში ადგილები არ გაგვიყიდია. პოლიტიკური თანამდებობებით ვაჭრობის კლასიკა არის საპარლამენტო სიებში ადგილების გაყიდვა. და ამას „ნაციონალური მოძრაობა“ აკეთებს ყოველ არჩევნებზე. დღეს რომ „ნაციონალური მოძრაობა“ ანი წითლიძის პარტიად გადაიქცა, ამ პარტიას რანაირად შეიძლება ეშველოს?“** — განაცხადა მან.

თავის მხრივ, **ანი წითლიძემ** გვარამიას პასუხი „ფეისბუქ“ პოსტით გასცა, ხოლო პარტია „ერთიანობა-ნაციონალური მოძრაობის“ დროებითი მმართველობის საბჭოს თავმჯდომარე **ირაკლი ფავლენიშვილი** აცხადებს, რომ გვარამიას უბრალოდ პასუხები არ აქვს:

**„პრინციპებზე როცა ვსაუბრობთ, თუ ვინმემ არ უღალატა პრინციპებს მთლიან ქართულ პოლიტიკურ სპექტრში, ეს არის „ნაციონალური მოძრაობა“ და მიხეილ სააკაშვილი. ანა წითლიძეს აქვს კონკრეტული პრაქტიკული შეკითხვები, ამიტომაც როცა ის დებატებს ითხოვს, თუ ვინმეს აქვს საპირისპირო აზრი, უნდა დაუჯდეს დებატებში და არ უნდა მიაყენოს არც მას და არც „ნაციონალური მოძრაობის“ სხვა წევრებს შეურაცხყოფა. არ უჯდება დებატებში, გასაგებია, ე.ი არ აქვს პასუხი. პრაქტიკული საქმიანი შეკითხვების საპასუხოდ ვისმენთ არა საქმიან პასუხებს, არამედ ცილისწამებრივს და ჭორებს, ეს აჩვენებს, თუ ვისკენ არის სიმართლე“** — განაცხადა მან.

### თვითონ განიკურნება თუ პოლიტიკიდან წავა?

**ოპოზიციური ფლანგის შიდა ქიშპობას ირონიით უყურებენ სხვა ოპოზიციონერებიც**. „თავისუფალი ხალხის პარტიის“ სათათბიროს წევრი **ალექსანდრე რაქვიაშვილი** მიიჩნევს, რომ გვარამია უბრალოდ ვეღარ უმკლავდება საკუთარ პოლიტიკურ რეალობას:



**„დაშალა „ნაცმოძრაობა“ აქტივისტები, პოლიტიკოსები, ფული წაართვა, და ამ ღალატს რომ ვეღარ ფარავს და ვერ ინარჩუნებს თავის რაღაც ესეთ ავტორიტეტს ოპოზიციურ ელექტორატში, ამის გამო, როგორც ჩანს, რაღაც პრობლემები დაეწყო. რაზე უნდა ვილაპარაკოთ, რომ ჩვენ ერთდროულად მიშას ვებრძვით და მიშას ვეხმარებით, „ქართულ ოცნებას“ ვურიგდებით და „ქართულ ოცნებას“ ვუპირისპირდებით და ეს ყველაფერი ხდება იმისთვის, რომ უშუალოდ ნიკა გვარამია დავაზიანოთ და ასე შემდეგ? ძალიან მძიმე მდგომარეობაშია, მე მგონი. დაველოდოთ, ან თვითონ განიკურნება და დატოვებს პოლიტიკურ ცხოვრებას, ან იმედია, ხალხი მიხვდება, რომ ასეთი უცნაური ადამიანები საერთოდ არ უნდა იყვნენ პოლიტიკაში“** — განაცხადა მან.

„ნაციონალურ მოძრაობას“ თავად მიხეილ სააკაშვილი შლის, სისტემურად და არა იაგო ხვიჩია, — ასე აფასებს სიტუაციას პარტია „ფედერალისტების“ ლიდერი **თამარ ჩერგოლეიშვილი** სოციალურ ქსელში. მისი თქმით, „ნაცმოძრაობას“ გადარჩენა არ უწერია.



**„ტელესამყაროს გაბლს, მინდა, გამოვეხმაურო და ვთქვა, რომ „ნაციონალურ მოძრაობას“ თავად მიხეილ სააკაშვილი შლის, სისტემურად და არა იაგო ხვიჩია. პიროვნების კულტი შლის მაგ პარტიას, ზუსტად ისე, როგორც პიროვნების კულტი ანგრევს „ოცნებას“ - ვინმე იაგო მხოლოდ და მხოლოდ გვერდითი მოვლენაა და ასეთი გვერდითი მოვლენები არ დაილევა იქამდე, ვიდრე მრავალმხრივ ხელმოცარული უნიჭოები არსებობენ, ვისაც გადარჩენა რომელიმე „ავტორიტეტული ძიას“ ჩრდილში ყეფით წარმოუდგენიათ. მოკლედ, ვისაც გადარჩენა სურს, მოვლენებს სახელი სწორად უნდა დაარქვას. „ნაცმოძრაობას“ გადარჩენა არ უწერია“** — განაცხადა **ჩერგოლეიშვილმა**.

სამაგიეროდ, ოპოზიციაში შექმნილი ეს „ტრაგიკომედია“ შეუმჩნეველი არ რჩება მმართველ პარტიას, სადაც ამ ყველაფერს სიამოვნებითა და მწვავე ეპითეტებით ადევნებენ თვალს. დიასპორის საკითხთა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე, **ირაკლი ზარქუა** მიიჩნევს, რომ ორივე მხარე ერთმანეთს იმსახურებს:



**„ფერი ფერს და მადლი ღმერთსო — ამათზეა ნათქვამი, შეესაბამებიან ერთმანეთს. როგორც გვარამიასგან კოსტავა არ დადგება, ისე წითლიძისგან არ გამოვა პოლიტიკოსი, ბელადის გარეშე. ეს არის დაჯგუფება, რომლებმაც ბოლომდე უნდა უერთგულონ „ლუზერ“ ბელადს. აქეთ არის გვარამიების ფლანგი, რომელიც ცდილობს პატრონის თვალში დაწინაურდეს და მთავარი ოპოზიციური პარტიის მანტია მოისხას. გვარამიას რა ეთქმის დანარჩენისთვის, ყველაფრის შემოქმედი იყო, რაც კი ბოროტება ჰქონდა „ნაცმოძრაობას“ რა უნდა გააკეთონ, საკუთარი ოჯახის წევრები არ აძლევენ ხმას და მხარს არ უჭერენ“,** — განაცხადა დეპუტატმა.

პოლიტიკური სანახაობა გრძელდება — გაურკვეველი მილიონებით, უარყოფილი დებატებით, ერთმანეთში „შეზელილი“ პარტიებითა და უცნობი „მეგობარი“ მაღალჩინოსნებით. დარჩა მხოლოდ ერთი კითხვა: ვინ გადარჩება ამ პოლიტიკურ ქარიშხალში და ვის დასჭირდება „განკურნება“ პოლიტიკიდან?

### პოლიტიკური უსუსურობის ტრაგიკომედია

**ანალიტიკოსი იგორ კვესელავა** აცხადებს, რომ ის, რასაც დღეს ოპოზიციურ ფლანგზე ვხედავთ, არა რეალური პოლიტიკური პროცესი, არამედ საკუთარი პოლიტიკური უსუსურობის ტრაგიკომიკური გამოვლინებაა.

**„ეს დაპირისპირება შემთხვევითი არ არის — ეს არის ღრმა სისტემური კრიზისი, რომელიც ოპოზიციურ სპექტრში წლების განმავლობაში იანგარიშებოდა. როდესაც პარტიები, ნაცვლად საზოგადოებისთვის ალტერნატიული ხედვის შეთავაზებისა, ერთმანეთს 40-მილიონიან გარიგებებსა და ფინანსურ მოსყიდვას აბრალებენ, ეს მიუთითებს იმაზე, რომ მათ დასაკარგი არაფერი დარჩენიათ. ოპოზიციისთვის ეს ნიშნავს სრულ პოლიტიკურ განულებასა და ელექტორატის თვალში ნდობის საბოლოო დაკარგვას. ვინ არის ამ დაპირისპირებაში მტყუან-მართალი? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა შეუძლებელია, რადგან აქ სიმართლეს არავინ ეძებს. ორივე მხარე, როგორც „ახლები“, ისე „ნაციონალური მოძრაობა“, საკუთარი პოლიტიკური გადარჩენისთვის იბრძვის. მათ შორის არასდროს ყოფილა ღირებულებითი ერთობა; ეს იყო დროებითი, ტაქტიკური ალიანსი, რომელიც პირველივე სერიოზულ ფინანსურ თუ ძალაუფლებრივ ინტერესთა დაჯახებაზე დაიშალა“,** — განაცხადა მან.



ანალიტიკოსი მიიჩნევს, რომ ერთმანეთის ჩაძირვა სწორედ იმით დაიწყეს, რომ რესურსებისა და ამომრჩევლის გავლენის გადანაწილება ვერ შეძლეს. როდესაც პოლიტიკურ ლიდერებს აკლიათ ავტორიტეტი, ისინი გადადიან პირადი თავდასხმების, „ნულოვანი პოლიტიკოსის“ იარლიყებისა და შიდა ბოიკოტის რეჟიმში.

**„რაც შეეხება კომპრომატებს, დიახ, ახალ სკანდალებს აუცილებლად უნდა ველოდოთ. როდესაც პოლიტიკური ჯგუფი აგონიურ მდგომარეობაშია და პროცესები ქუჩისა თუ ტელეეთერების დონეზე გარჩევებში გადადის, კომპრომატების ამოტივტივება ერთადერთი იარაღი ხდება. ეს ბრძოლა საბოლოოდ იმით დასრულდება, რომ ორივე მხარე კიდევ უფრო გამარგინალდება და ქართველი ამომრჩეველი მათგან კიდევ უფრო დისტანცირდება“,** — განაცხადა მან.

ლიკა ბერიკაშვილი

# მაგთის Mesh Wi-Fi ძლიერი ინტერნეტსიგნალი შენობის ყველა წერტილში

**მაგთი აბონენტებს ახალ სერვისს – Mesh Wi-Fi სისტემას სთავაზობს, რაც მკვეთრად აუმჯობესებს სახლისა და ოფისის ინტერნეტის ხარისხსა და სტაბილურობას.**

დღეს, მხოლოდ ინტერნეტის ქონა აღარ არის საკმარისი. თანამედროვე ციფრულ რეალობაში, სწორედ ხარისხიანი **Wi-Fi** განსაზღვრავს, რამდენად სწრაფად და სტაბილურად ვუკავშირდებით ონლაინ სამყაროს. სქელი კედლები, დიდი ფართობი და ერთდროულად ჩართული მოწყობილობები ხშირად სუსტი სიგნალის და □მკვდარი ზონების□ მიზეზი ხდება. **Magti Mesh Wi-Fi** სწორედ ამ პრობლემის გადაწყვეტაა. ის თანაბრად ანაწილებს სიგნალს და უზრუნველყოფს საუკეთესო კავშირს შენობის ნებისმიერ წერტილში.

**Mesh Wi-Fi** რამდენიმე, ერთმანეთთან დაკავშირებული მოწყობილობით აგებული უსადენო ქსელია, რომელიც ერთიან **Wi-Fi** გარემოს ქმნის. ტრადიციული როუტერისგან განსხვავებით, სადაც ერთი მოწყობილობა მთელ სივრცეს ფარავს, **Mesh** სისტემა რამდენიმე მოწყობილობას (**Node**) იყენებს. სახლში რამდენიმე პატარა მოწყობილობა თავსდება, რომლებიც ერთმანეთს უკავშირდებიან და ერთიან ძლიერ **Wi-Fi** ქსელს ქმნიან. შედეგად მომხმარებელი იღებს:

- **სტაბილურ სიგნალს □ ინტერნეტი უკეთესად იჭერს ყველგან;**
- **ფართო დაფარვას □ ქრება □მკვდარი ზონები□;**
- **ავტომატურ გადართვას საუკეთესო წვდომის წერტილზე □ ვიდეოზარი აღარ წყდება გადაადგილებისას;**
- **ერთიან Wi-Fi ქსელს □ ერთი სახელითა და პაროლით, მთელი სახლი ერთი Wi-Fi ქსელით მუშაობს.**

**Mesh Wi-Fi იდეალურია:**

- **დიდი ბინებისა და კერძო სახლებისთვის;**
- **ოფისებისა და სამუშაო სივრცეებისთვის;**
- **სასტუმროებისა და კომერციული ობიექტებისთვის;**
- **ჭკვიანი სახლებისა და IoT ეკოსისტემებისთვის.**

შესაკვეთად დარეკეთ მაგთის ცხელ ხაზზე 110011 მობილური ქსელიდან ან ეწვიეთ მაგთის ოფისებს.

დეტალური ინფორმაცია იხილეთ https://www.magticom.ge/ka/mesh2026






# „HOMO ERECTUS-ის 100+35 წელი: დმანისი და მის მიღმა"...

**საქართველოს ეროვნული მუზეუმი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციას □Homo erectus-ის 100+35 წელი: დმანისი და მის მიღმა□ მასპინძლობდა.**

კულტურის სამინისტროს ინფორმაციით, კონფერენცია Homo erectus-ის (□გამართული ადამიანი□) აღმოჩენის 135-ე და დმანისის არქეოლოგიური აღმოჩენების 35 წლისთავს, ასევე ადამიანის ევოლუციის კვლევის მნიშვნელობას ეძღვნება.

კონფერენციის გახსნის ღონისძიებას საქართველოს კულტურის მინისტრის მოადგილე **გიორგი მირცხულავა** დაესწრო.

მისასალმებელი სიტყვით გამოსვლის დროს მინისტრის მოადგილემ განსაკუთრებული ყურადღება დმანისის აღმოჩენების მნიშვნელობაზე გაამახვილა.

**□დღეს ჩვენ აღვნიშნავთ არა მხოლოდ მნიშვნელოვან სამეცნიერო თარიღს, არამედ კაცობრიობის ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეულ ეპიზოდს. დმანისის აღმოჩენებმა მსოფლიოს თვალწინ ახალი ფურცელი გადაშალა ადამიანის ევოლუციის ისტორიაში. საქართველოსთვის დმანისი ეროვნული სიამაყეა და, ამავდროულად, მსოფლიო მეცნიერების საერთო საგანძური□**

მინისტრის მოადგილემ მადლობა გადაუხადა კონფერენციის ორგანიზატორებს, საქართველოს ეროვნულ მუზეუმს, პარტნიორ ინსტიტუციებს და საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებას, რომლებიც მრავალი წლის განმავლობაში მუშაობდნენ დმანისის პროექტზე.

**საერთაშორისო კონფერენცია ხორციელდება საქართველოს კულტურის სამინისტროს, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს ეროვნული მუზეუმის, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის, ევროპის აკადემიის თბილისის რეგიონული ცენტრის, Stone Age Institute-ის, ფლორენციის უნივერსიტეტის დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა დეპარტამენტისა და ჰაიდელბერგის მეცნიერებათა აკადემიის (ROCEEH) კვლევითი ცენტრის მხარდაჭერით.**

# ლატვიის ქალაქ ბაუსკაში ქართული კუთხე გაიხსნა

**ლატვიაში, ქართული ახალგაზრდული ორგანიზაციების წარმომადგენელთა დელეგაციის ვიზიტის ფარგლებში, ქალაქ ბაუსკაში ადგილობრივი ახალგაზრდული ორგანიზაციის, □ახალგაზრდების დროა□ (Laiks Jauniesiem) ოფისში ქართული კუთხე საზეიმოდ გაიხსნა.**

ეს ინიციატივა წარმოადგენს ქართულ და ლატვიურ ახალგაზრდულ ორგანიზაციებს შორის არსებული მჭიდრო თანამშრომლობის პრაქტიკულ შედეგს, რაც მიზნად ისახავს ორი ქვეყნის ახალგაზრდებს შორის სამოქალაქო დიალოგის გაღრმავებასა და სახალხო დიპლომატიის როლის გაძლიერებას.

**ახლადგახსნილ ქართულ კუთხეში განთავსდა სპეციალურად შერჩეული ლიტერატურა საქართველოს ისტორიის, კულტურისა და ხელოვნების შესახებ, ასევე ქართული კულტურისთვის დამახასიათებელი სხვადასხვა ელემენტი, რომლებიც ადგილობრივ ახალგაზრდებსა და სტუმრებს საქართველოს მდიდარ მემკვიდრეობას გააცნობს.**

სივრცე პერიოდულად უმასპინძლებს საქართველოს შესახებ საგანმანათლებლო და კულტურულ ღონისძიებებს. ამასთანავე, ორმხრივი თანამშრომლობის ფარგლებში იგეგმება ყოველწლიურად ქართველი მოხალისეების გაგზავნა ლატვიაში, რომლებიც უშუალოდ ჩაერთვებიან ლატვიური ახალგაზრდული ორგანიზაციების საქმიანობაში და თავიანთ წვლილს შეიტანენ ქართველ და ლატვიელ ახალგაზრდებს შორის პარტნიორული ურთიერთობების შემდგომ განმტკიცებაში.

**ვიზიტი განხორციელდა ლატვიის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით.**



# საწვავის მორიგმა გაძვირებამ, შესაძლოა, პროდუქტებზე ფასების მატება გამოიწვიოს



**საერთაშორისო ენერგეტიკულ ბირჟაზე ერთი ბარელი ნავთობის ფასმა 103 დოლარს მიაღწია, რაც ივლისის შემდეგ დაფიქსირებული უმაღლესი მაჩვენებელია. ვითარება ყველგან დრამატულია. გამოსავალი არ ჩანს. პრობლემებია, როგორც საერთაშორისო ბირჟებზე, ასევე საქართველოშიც. ასეთი ტენდენციის პირობებში მალე, შესაძლოა, სამომხმარებლო პროდუქციის გაძვირებაც დაიწყოს.**

**ამჟამინდელი მონაცემებით, „ბრენტის“ ფასი ერთ თვეში 15%-ით არის გაზრდილი, ხოლო წლის დასაწყისიდან დღემდე მატება 68%-ია. რაც შეეხება ამერიკულ ნავთობს, ის თითქმის 98 დოლარს აღწევს, რაც ერთ კვირაში – 6%-იან და წლის განმავლობაში 68%-იან ნახტომს წარმოადგენს.**

**პარალელურად, მკვეთრად არის გაძვირებული ბუნებრივი აირი, რომელიც მეგავატ/საათზე 80 ევროს აღწევს, რაც ერთ თვეში 37%-იან ზრდას ნიშნავს, ხოლო წლის განმავლობაში გაზი თითქმის 185%-ით არის გაძვირებული.**

ნავთობის მკვეთრი გაძვირება სპარსეთის ყურეში აშშ-სა და ირანს შორის სამხედრო დაპირისპირების მორიგ ტალღას უკავშირდება. როგორც ირკვევა, ამერიკულმა მხარემ ირანული ნავთობმზიდები გაანადგურა მას შემდეგ, რაც თეირანმა აშშ-ის სამხედრო ხომალდზე ბალისტიკური რაკეტებით იერიში მიიტანა. პარალელურად, ირანის მიერ მხარდაჭერილმა ჰუსიტებმა საუდის არაბეთის ოთხ ქალაქს შეუტიეს, რასაც 70-ზე მეტი ადამიანის დაშავება და ნავთობობიექტებზე ხანძრის გაჩენა მოჰყვა. სამშვიდობო მოლაპარაკების პროცესის კრახით დასრულების გამო, ინვესტორები ფიქრობენ, კონფლიქტი ვერც აშშ-ის შუალედურ არჩევნებამდე ვერ მოგვარდება, რაც გაზარზე რისკს კრიტიკულად ზრდის.

**ამასობაში საქართველოში საწვავის ფასი განუწყვეტლივ მაღლა მიიწევს. ბენზინი აგვისტოს დასაწყისიდან 10-დან 55 თეთრამდე გაიზარდა. დიზელი ზოგიერთ ავტოგასამართ სადგურზე – 41 თეთრით, ზოგ შემთხვევაში კი 55 თეთრით არის გაძვირებული.**

ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა ასოციაციაში მოლოდინი აქვთ, რომ სურათი სექტემბერში კიდევ შეიცვლება, რადგან ამ პერიოდში საწვავის მოხმარების ტემპი იზრდება. მსოფლიოში მას შემდეგ, რაც მარაგი გაიხარჯება, ახალი მარაგების შეძენა განსხვავებული ფასით მოხდება.

**„მოლოდინი ნამდვილად არის იმიტომ, რომ საერთაშორისო ბაზრებზე ნამდვილად გაძვირდა. არ არის მშვიდობა მსოფლიოში, ეს ყველანაირ ფასთა სხვაობას იწვევს... არასტაბილური სიტუაცია მთელ მსოფლიოში და გლობალურ ეკონომიკაში, არსებული მარაგი გაიხარჯება და ახალი ხომ უნდა შემოვიდეს და იქ უკვე დაგვხვდება სხვა ფასები“** – განაცხადა **ვახტანგ იოგაშვილმა.**



თუ პროცესები გაგრძელდა საწვავის ფასების მატებასთან დაკავშირებით, ეს აუცილებლად აისახება სურსათის ფასებზე. ამ არასახარბიელო პერსპექტივაზე მიუთითებს ეკონომისტი **პაატა ბაირახტარი**.

**„აგვისტოში ბენზინი, საშუალოდ, 25 თეთრამდეა გაძვირებული, დიზელი კი – 55 თეთრამდე. რა თქმა უნდა, თუ პროცესები გაგრძელდა საწვავის ფასების მატებასთან დაკავშირებით, ეს აუცილებლად აისახება სურსათის ფასებზე.**

**შემარბილებელი ბერკეტები მთავრობას გააჩნია, მაგრამ ამას არ იყენებს პრინციპულად“** – აღნიშნა **პაატა ბაირახტარმა** „ტვ პირველის“ ეთერში.



ეკონომისტი **რამაზ გერლიანიც** ადასტურებს, რომ საწვავის გაძვირებასთან ერთად, ძვირდება ცხოვრებაც. მთავრობას ნამდვილად შეუძლია დროებითი ინსტრუმენტის სახით აქციზით მანიპულირება მოახდინოს.

**„როგორც კი საწვავი ძვირდება, ძვირდება ცხოვრებაც. პირობითად, თუ ოჯახს აქვს 1000 ლარი და ის ხარჯავდა საწვავზე 300 ლარს, გაძვირების შედეგად, ის უკვე ხარჯავს 400 ლარს, თუ 400 ლარს ხარჯავს, ე.ი. სხვა დანარჩენისთვის რჩება უფრო ნაკლები. ლოგიკურია, რომ ამ ფონზე, სხვა დანარჩენზე მოთხოვნა მცირდება, რაც ეკონომიკურ წნეხს ზრდის.**

**მთავრობას, დროებითი ინსტრუმენტის სახით, ნამდვილად შეუძლია, რომ გარკვეულწილად მოახდინოს აქციზით მანიპულირება, მაგრამ მთავრობა ვერ ამბობს უარს ბიუროკრატიული აპარატის ხარჯებზე. მას მოკლევადიანი პერიოდისთვის შეუძლია, რომ ეს ბერკეტი გამოიყენოს. ოღონდ ეს არის მხოლოდ და მხოლოდ მოკლევადიანი. ის მნიშვნელოვნად ფასების მსოფლიო ტენდენციას ვერ შეცვლის, მაგრამ ადგილობრივ დონეზე შეამსუბუქებს ინფლაციურ წნეხს“** – აღნიშნა **გერლიანმა.**

**ბექა დანელია**

# კრწანისის ტყე-პარკთან არაბული EAGLE HILLS-ის პროექტის გაუქმება მოითხოვეს




**აქციის მონაწილეებმა კრწანისის ტყე-პარკთან აბრა აღმართეს წარწერით: „მეფე ერეკლე II-ის სახელობის პარკი“ მოძრაობამ „ერთი ხალხი – ერთი საქართველო“ კრწანისის ტყე-პარკთან საპროტესტო აქცია გამართა. „ქართული მიწა ხალხისაა!“ – აქციის მონაწილეები არაბულ დეველოპერულ კომპანია Eagle Hills-თან გაფორმებული ხელშეკრულების გაუქმებას მოითხოვენ.**

არაბთა გაერთიანებულ საამიროებში (UAE) დაფუძნებული დეველოპერულ კომპანიასთან – Eagle Hills-თან 6.6 მილიარდი აშშ დოლარის პროექტზე საინვესტიციო შეთანხმება 2025 წელს გაფორმდა. მასშტაბური პროექტით გათვალისწინებული კომერციული და საცხოვრებელი ობიექტების მშენებლობა კრწანისის ტყე-პარკის ტერიტორიის ნაწილსაც მოიცავს.

**აქციაზე იმყოფებოდა საქართველოს მე-5 პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი. მისი თქმით, კრწანისის ტყე-პარკი „თბილისის ფილტვებია“ და აქ მშენებლობის ნებართვა არავის არ უნდა ჰქონდეს.**

# ანაკლიის ახალგაზრდული ბანაკი დაიხურა

**საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრმა გივი მიქანაძემ ანაკლიის ახალგაზრდული ბანაკის დახურვის ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა. მინისტრმა სიტყვით გამოსვლისას უმაღლესი განათლების სისტემის რეფორმის ფარგლებში სტუდენტთა მხარდაჭერის კუთხით განხორციელებულ ინიციატივებსა და სამომავლო გეგმებზე ისაუბრა.**

2026 წლის ბანაკის ბოლო ნაკადს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები სტუმრობდნენ.

ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილემ **ზვიად გაბისონიამ,** პარლამენტის წევრმა **ვარლამ ლიპარტელიანმა,** სამეგრელო-ზემო სვანეთის რწმუნებულმა **დავით ვერავამ,** ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერმა **დავით კოდუამ,** ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **მამუკა წოწერიამ,** ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა **ჯაბა სამუშიამ** და ახალგაზრდობის სააგენტოს ხელმძღვანელმა **ალექსანდრე ქაჯაიამ.**

2026 წელს ანაკლიის ახალგაზრდული ბანაკი 12 ნაკადად განხორციელდა და ჯამში 2 880 ახალგაზრდას უმასპინძლა, მათ შორის, 720 სკოლის მოსწავლესა და 2160 სტუდენტს. ბანაკის მიზანია ახალგაზრდების სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობა, აქტიური დასვენებისა და არაფორმალური განათლების ხელმისაწვდომობის ზრდა, ჯანსაღი ცხოვრების წესისა და ეროვნული ღირებულებების პოპულარიზაცია.



# თბილისის სიძველენი ბრიტანულ მედიაში



**ბრიტანულმა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა გაავრცელეს პუბლიკაციები, რომელთა მიხედვით, საქართველოს დედაქალაქში, თბილისში, რუსთაველის გამზირზე მიწისქვეშა კომუნიკაციების შეკეთების დროს, ქალაქის ისტორიის ამსახველი მნიშვნელოვანი არტეფაქტები იპოვეს.**

**გთავაზობთ გაზეთ „ინდეფენდენთში“ (The Independent) გამოქვეყნებულ სტატიას სათაურით „არქეოლოგებმა საქართველოს დედაქალაქში სარემონტო სამუშაოების დროს X საუკუნის დროინდელი ნივთები იპოვეს // პროექტმა სატრანსპორტო ქაოსი და მოსახლეობის უკმაყოფილება გამოიწვია, მაგრამ არქეოლოგებს თბილისის ისტორიაში ჩახედვის იშვიათი შესაძლებლობა მისცა“ (ავტორი – ლიუსი პაპაქრისტუ).**

**„საგზაო-სარემონტო სამუშაოები, რომლებმაც, როგორც ჩანს, თბილისის მოსახლეობის უკმაყოფილება გამოიწვია, არქეოლოგებისათვის სასარგებლო აღმოჩნდა: ნაპოვნია მეათე საუკუნის კერამიკული ჭურჭელი – შუა საუკუნეების ერთ-ერთი უძველესი არქეოლოგიური არტეფაქტი, რომელიც კი ოდესმე აღმოჩენილა თბილისში“** – ასე იწყება სტატია, რომელიც ქვეყნდება საგაზეთო რუბრიკით „მეცნიერება: **არქეოლოგია“**.

**„ამ ზაფხულს რუსთაველის გამზირზე, თბილისის დიდებულ ცენტრალურ ბულვარზე, კეთილმოწყობის სამუშაოები დაიწყო, რომელიც მიწისქვეშა კომუნიკაციების, მიწისქვეშა გადასასვლელებისა და საგზაო მაჩვენებლების მოწესრიგებაგაუმჯობესებას და განახლებას ითვალისწინებს.**

**თბილისის მერიის მიერ ინიცირებულმა პროექტმა გარკვეული სატრანსპორტო პრობლემები შექმნა და აქედან გამომდინარე, მოსახლეობის საჩივრები გამოიწვია: სეირნობის დროს თბილისელებს (და ქალაქის სტუმრებს) უწევთ გვერდი აუარონ თხრილებს, მიწის გროვებს და აგურის ნამსხვრევებს... თუმცა სამუშაოებმა არქეოლოგებს დედაქალაქის წარსულში ჩახედვის შესაძლებლობა მისცა.**



**თბილისის მთავარი ქუჩის ქვეშ კერამიკულ-სამეთუნეო სახელოსნოს აღმოჩენა ეროვნული მუზეუმის დირექტორისათვის დავით ლორთქიფანიძისათვის მოულოდნელი არ ყოფილა. მუზეუმი გათხრების ადგილიდან ორიოდე ნაბიჯის დაშორებით მდებარეობს.**

**„თბილისი ძალიან მდიდარია არქეოლოგიური ძეგლებით. შესაბამისად, ლოგიკური და კანონზომიერია სხვადასხვა ეპოქის ნივთების პოვნა“** – ამბობს იგი.

ქართული შუასაუკუნეების ქრონიკები თბილისის დაარსებას მე-4 საუკუნით ათარიღებენ, როცა ქართლის სამეფოს (დღევანდელ აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე) ვახტანგ I მართავდა.

კერამიკული ჭურჭლის ორნამენტების წინასწარი ანალიზის მიხედვით, სავარაუდოდ, ისინი დამზადებულნი არიან X-XI საუკუნეებში, როცა თბილისი არაბთა ბატონობის ქვეშ იმყოფებოდა და „აბრეშუმის დიდ გზაზე“ მნიშვნელოვან სავაჭრო პუნქტს წარმოადგენდა. დავით ლორთქიფანიძის თქმით, არქეოლოგიურ ნივთებს ეროვნულ მუზეუმში გადაიტანენ **3D** სკანირებისა და შემდგომი შესწავლისათვის.

თბილისში შუა საუკუნეებში აყვავებულ ქალაქს წარმოადგენდა, თუმცა ომების დროს ბევრჯერ იქნა დანგრეული და ხელიდან ხელში გადადიოდა – დამასკოს ომეიდების ხალიფატის, ბაღდადის აბასიდების ხალიფატისა და თურქ-სელჯუკთა ძლიერი იმპერიების დროს.



**„თბილისი ყოველთვის მულტიკულტურულ ქალაქს წარმოადგენდა“** – ამბობს **დავით ლორთქიფანიძე, – „რეგიონის ცენტრს, განსაკუთრებით ეკონომიკური თვალსაზრისით“**.

ქალაქის სახეზე თავისებური გავლენა მოახდინა მონღოლების, სპარსელებისა და რუსების ბატონობამ. ქალაქში ბევრია მე-19 საუკუნეში აგებული შენობები, რომლებიც კლდოვანი ნაპირიდან მდინარე მტკვარს გადმოჰყურებენ. მტკვარი საქართველოს მთავარი მდინარეა, სამხრეთ კავკასიაში (რამდენიმე სახელმწიფოს ტერიტორიაზე) მიედინება და კასპიის ზღვას ერთვის.

სახელწოდება თბილისი „თბილ ადგილს“ ნიშნავს და უკავშირდება ცხელ გოგირდოვან წყლებს ქალაქის ერთ-ერთ უძველეს უბანში. თბილისს ირგვლივ მთები აკრავს, რომელთა ფერდობებზე ძველი ქუჩები და სახლებია შეფენილი.

რუსთაველის გამზირზე მიმდინარე სარემონტო სამუშაოების წყალობით თბილისის მოსახლეობის წინაშე მშობლიური ქალაქის მდიდარი ისტორია ცოცხლდება.

**თბილისის მერი მოსახლეობას დაჰპირდა, რომ რემონტის შედეგები, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად, მაღალხარისხიანი იქნება. მუშები სადღეღამისო რეჟიმით შრომობენ, რომ ვადებში ჩაეტიონ: რემონტი ნოემბრისთვის უნდა დასრულდეს. ამასთან, ქალაქის ადმინისტრაციის მიმართ გაისმის მოთხოვნები – შემოწმდეს გავრცელებული ცნობები, რომ გამზირის ქვეშ თითქოსდა აზბესტი იქნა ნაპოვნი და ამოღებული.**

თარგმნა
**სიმონ კილაძემ**

# ქუჯისა და ფარნავაზის სკულპტურა —

## საქართველოს ერთიანობის უანალოგო იდეის განსხეულება



**საქართველოში არსად დგას ქართველთა გამორჩეული წინაპრების ქუჯისა და ფარნავაზის მონუმენტი თუ ძეგლი. მინდა შევახსენო საზოგადოებას, რომ ქართლის მომავალმა მეფემ ფარნავაზმა მაცნენი აახლა ეგრისის მეფეს და შეუთვალა „ვიყვნეთ ჩვენ ძმა“, მაშინ განიხარა ქუჯიმ და მიუგო „აღდეგ და მოვედ ჩემ თანა“.**

ამით ქუჯიმ მკაფიოდ გამოხატა ქართული იდეის საბოლოო მიზანი, „განიხარონ ყველა ქართველთა“!.. ეს აჩენს სურვილს საქართველოს გამთლიანების შანსის მიმართ. ქუჯისა და ფარნავაზის შეხვედრას მოყვა შეთანხმება და ერთიანი, ძლიერი ჯარის შექმნა და საბოლოოდ დამოუკიდებლობის მოპოვება.

ქართველთა ერთიანობის სიმბოლური და მხატვრული სახე ჯერ არსად დადგმულა.საზოგადოების დიდი სურვილია პატარა, კოლხურ ქალაქ სენაკში განთავსდეს ქვეყნის ერთიანობის სიმბოლოდ წოდებულ მეფეთა – ქუჯისა და ფარნავაზის მონუმენტი.

უკვე შექმნილია პოეტური ქანდაკების მცირე კომპოზიცია, რომელიც ერთგვარი მონახაზია მომავალი სკულპტურისა. მონუმენტის მაკეტის ავტორია მოქანდაკე **გია ჯაფარიძე;** არქიტექტორები – **ვახტანგ დავითაია** და **გიორგი ღვამბერიძე.**

2017 წელს, ქუჯისა და ფარნავაზის ძეგლის შექმნისა და ლოკაციის შერჩევასთან დაკავშირებით, სენაკს ხელისუფლების, არქიტექტორებისა და საზოგადო მოღვაწეების ჯგუფი ეწვია. გაიმართა დისკუსია, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს: საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მაშინდელმა დირექტორმა, დირექტორის მოადგილემ, მწერალმა გურამ ოდიშარიამ, მხატვარმა გიორგი გეგეჭკორმა, ადგილობრივი ინტელიგენციისა და საზოგადოების წარმომადგენლებმა.

სენაკის მუნიციპალიტეტიდან წამოსული ინიციატივა, რომელიც საზოგადოებისა და სამეცნიერო წრეების მხარდაჭერით სარგებლობს, საქართველოს ერთიანობის უანალოგო ისტორიული ფაქტის სკულპტურაში ხორცშესხმით, მიზნად ისახავს, 27 საუკუნის შემდეგ, ახალი ძალით გააცოცხლოს ქვეყნის მომავალი გამთლიანების იდეა.

ჩვენი სამშობლო რომ ერთ-ერთი გამორჩეული ქვეყანაა ხელოვნების უნიკალურ ნიმუშთა თვალსაზრისით, ამას იუნესკოს სიაში შეტანილი ქართული კულტურული მემკვიდრეობის უნიკალური ძეგლების სიმრავლე ცხადყოფს.

თითოეული ქართული საგანძური იმდენად განუმეორებელია, რომ შეუძლებელია, რომელიმე მათგანს უპირატესობა მიანიჭო...

ქუჯის და ფარნავაზის მონუმენტი, თავისი ისტორიული მნიშვნელობით, მრავალსაუკუნოვანი წარსულის, დღევანდელობისა და უკეთესი მერმისის ერთობლიობაა...

ის იქნება ტრადიციების გაგრძელება და ამასთან, ახალი სიტყვა ჩვენს თანამედროვეობაში.

სამწუხაროდ, „საუკუნის პროექტად“ წოდებული სკულპტურის შექმნა ერთი, კონკრეტული მუნიციპალიტეტის, ან თუნდაც, ერთი რეგიონის ფინანსურ რესურსებს აღემატება.

**აქედან გამომდინარე, ვთხოვ საქართველოს პარლამენტის კულტურის კომიტეტის თავმჯდომარეს ბატ. გიორგი გაბუნიასა და კულტურის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელს ბატ. მიხეილ კიკნაძეს, თავიანთი წვლილი შეიტანონ ამ ისტორიული იდეის ხორცშესხმაში.**

**ბორის დავითაია,**
აკაკი წერეთლისა და ალექსანდრე ყაზბეგის პრემიის ლაურეატი,
სენაკის საპატიო მოქალაქე



ვლადიკავკაზის ა. წერეთლის სახელობის მე-19 ქართული საშუალო სკოლა



მიხეილ ყიფიანისა და კოსტა ხეთაგუროვის მემორიალური დაფა

# ფესვებს მივხედოთ, ძმობის ფესვებს, აფხაზებო და ოსებო!

## ქართველი, აფხაზი და ოსი ხალხების თანაცხოვრების ისტორიიდან

**მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს თაობებს უაღრესად რთულ და წინააღმდეგობებით სავსე ეპოქაში მოუწიათ ცხოვრება, რუსი და ქართველი ხალხები, ჩვენი ინტელიგენციის, მეცნიერების, მწერლების, ხელოვნებისა და კულტურის მოღვაწეთა მეგობრობა სამაგალითოდ დარჩება შთამომავლობას. დღესაც, ამ დაძაბული ვითარების ჟამს, ქართველ ხალხს ვერავინ დასწამებს რუსი ხალხის მიმართ უპატივცემულობას. გვჯერა, რომ ასეთივე გრძნობითაა განწყობილი ჩვენს მიმართ რუსი ხალხი.**

ამიტომ დიდ იმედს ვამყარებთ რუსეთზე. საკმარისია მან გამოიჩინოს კეთილი ნება – უარი თქვას ყოველგვარი კონსტიტუციური და საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევით აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ აღიარების შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებაზე და ყველაფერი მშვიდობიანად დალაგდება. ეს რუსეთის ინტერესებშიც შედის: მშვიდობიანი კავკასია ერთნაირად გვჭირდება ქართველებსაც, ოსებსაც და რუსებსაც. ბედმა გვარგუნა სამუდამოდ ერთმანეთის მეზობლად ცხოვრება და „ხსოვნის მქონე შთამომავლობას“ სიყვარული გზად და ხიდად უნდა დავუტოვოთ.

**ჩვენ, ქართველ და ოს ხალხებს, რომლებსაც გმირული ისტორიის დიდი წარსული გვაქვს, დიდი ქარტეხილები გამოგვივლია და ჩვენი ეროვნული სული 21-ე საუკუნემდე მოგვიტანია, უნდა გვეყოს სიბრძნე, მტერ-მოყვარე, მტყუან-მართალი გავარჩიოთ და შესანდობარი ერთმანეთს შევუნდოთ.**

საქართველოში მცხოვრები ოსებისადმი ქართველი ხალხი ყოველთვის იჩენდა პატივისცემას, მათდამი მზრუნველობას, უშურველად უწყობდა ხელს მათი სულიერი კულტურის განვითარებას. 1988 წელს „სამხრეთ ოსეთში“, რომლის მოსახლეობა 4-ჯერ ნაკლები იყო ჩრდილო ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობაზე, ყოველ ათი ათას მცხოვრებზე 3,5-ჯერ მეტი დასახელების წიგნი გამოდიოდა 2-ჯერ მეტი ტირაჟით, ვიდრე ჩრდილოეთ ოსეთში.

ყოფილ სამხრეთ ოსეთში სრული შესაძლებლობა ჰქონდა ახალგაზრდობას განათლება მშობლიურ ენაზე მიეღო. მაშინ, როდესაც ჩრდილო კავკასიაში, კერძოდ, „ყაბარდო-ბალყარეთის, ყალმუხეთის, ჩრდილოეთ ოსეთის, ჩეჩენ-ინგუშეთის ავტონომიურ რესპუბლიკებში, ადიღესა და ყარაჩაი-ჩერქეზეთის ავტონომიურ ოლქებში არც ერთი ეროვნული სკოლა არ არსებობდა და მკვიდრი ეროვნების ყველა ბავშვი რუსულ ენაზე სწავლობდა. საქართველოში 98 ოსური სკოლა ფუნქციონირებდა შერეული ტიპის სკოლებთან ერთად. მათ შორის, 90 სკოლა – ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, ხოლო 8 სკოლა ოსებით შედარებით კომპაქტურად დასახლებულ ადგილებში თბილისში, ლაგოდეხში, ბორჯომში, ქარელსა და ყვარელში. აღსანიშნავია, რომ საქართველოში 1921 წლამდე არც ერთი ოსური სკოლა არ არსებობდა. 1926 წლისათვის საქართველოს ხუთ მაზრაში უკვე 19 ოსური სკოლა იყო, ხოლო 1928-29 სასწავლო წელს ოსური სკოლების რიცხვი 26-მდე გაიზარდა.

ჩრდილოეთ კავკასიაში რუსულმა ენამ გაბატონებული მდგომარეობა დაიჭირა. ეროვნული ენები განიდევნა ფაბრიკებიდან, ქარხნებიდან, საცხოვრებელი კორპუსებიდან, ინსტიტუტებიდან, სკოლებიდან. შინ და გარეთ, სამუშა-

**გაგრძელება, დასაწყისი იხილეთ:**
**„სრ“ №113-114, 115-116, 117-118, 119-120, 121-122, 123-124**



დანიელ ჭონქაძე



ლუარსაბ ბოცვაძე

ოზე და ქუჩაში ყველაფერი რუსულ ენაზე „ალაპარაკდა“. ასეთი ვითარება იყო მთელ ჩრდილოეთ კავკასიაში. სასურველ შედეგსაც მალე მიაღწიეს. ყარაჩაი-ჩერქეზეთის ავტონომიურ ოლქში ჩატარებული სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემების მიხედვით მშობლები შვილებთან ურთიერთობაში ნაკლებად იყენებდნენ მშობლიურ ენას. ამ აზრის იყო გამოკითხულთა 37,5 პროცენტი. 50,0 პროცენტი კი თვლიდა, რომ შვილებთან ურთიერთობაში იყენებდა როგორც მშობლიურ ენას, ისე რუსულ ენას. გამოკითხულთა 90,0 პროცენტი ქალაქად არაოფიციალური მიმოწერის დროს რუსულ ენას ხმარობდა, ხოლო 10,0 პროცენტი – ორივე ენას. მხატვრულ ლიტერატურას 45,0 პროცენტი მხოლოდ რუსულ ენაზე კითხულობდა, ხოლო პერიოდულ პრესას – 67,0 პროცენტი. ამასთან, გამოკითხულთა 100,0 პროცენტი აუდიტორიის წინაშე მხოლოდ რუსულ ენაზე გამოდიოდა.

ყოველივე ძირითადად იმან განაპირობა, რომ იერიში მიჰქონდათ ეროვნულ ენებზე და ცდილობდნენ მხოლოდ რუსული ენის დამკვიდრებას. მაგალითად, საკმარისი აღმოჩნდა ყოფილ საბჭოთა კავშირის პირველ პირს ნ. ხრუშჩოვს ბელორუსიის უნივერსიტეტის კიბეებზე ეთქვა საკრამენტული ფრაზა: **„რაც უფრო მალე ჩვენ ყველანი ვილაპარაკებთ რუსულად, მით უფრო სწრაფად ავაშენებთ კომუნიზმს“**, რომ არა მარტო ბელორუსიაში, არამედ უკრაინაშიც მაშინვე დაიწყეს ამ ყოველმხრივ საზიანო და ნაცოდვილარი ნააზრევის ცხოვრებაში გატარება. მართალია, კომუნიზმი ვერ აშენდა, მაგრამ სამაგიეროდ ბელორუსიაში თითქმის აღარ დარჩა სკოლა მშობლიურ ენაზე. მოსწავლეთა 79,0 პროცენტი განათლებას რუსულ ენაზე იღებდა. ბელორუსული სკოლა მხოლოდ სოფლად შემორჩა. სკოლებში ბელორუსულ ენას სამჯერ ნაკლები საათები ჰქონდა დათმობილი, ვიდრე რუსულს. ბელორუსული ენის დისკრიმინაციის საქმე იქამდე მივიდა, რომ რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლების შრომის ანაზღაურება უფრო მაღალი იყო, ვიდრე მათი, ვინც მშობლიურ ბელორუსულ ენას ასწავლიდა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობა იყო ჩრდილოეთ კავკასიაში. ცნობილი დაღესტანელი პოეტი **რასულ გამზათოვი** წერდა:

**„ჩემს მშობლიურ დაღესტანში ლიტერატურა ცხრა ენაზე იქმნება. ამტკიცებენ, რომ არც ერთ მათგანს არ უწერია გაქრობა... უკანასკნელ დროს ეროვნულ ენაზე ორი ახალი ლიტერატურული ჟურნალი გამოიცა. მაგრამ გვაღელვებს საკითხი: ვის შეეძლება ეს ჟურნალები წაიკითხოს ათი, ოცი წლის შემდეგ? მახაჩყალაში არ არის არცერთი საბავშვო ბაღი, არც ერთი სკოლა, არც ერთი კლასი, სადაც ჩვენი წინაპრების ენას ასწავლიდნენ“.**

ამ დროს საქართველოში, როგორც ითქვა, 98 ოსური სკოლა ფუნქციონირებდა 90 ყოფილ სამხრეთ ოსეთში და 8 ოსების კომპაქტურად დასახლებულ საქართველოს სხვადასხვა რაიონში.

მოწინავე ქართველი საზოგადოება ყოველთვის ზრუნავდა ოსური კულტურის განვითარებისათვის; ისტორიული ფაქტია, რომ ჯერ კიდევ მე-18 საუკუნეში, ერეკლე მეფის დროს საგანგებო კომისიამ ოსებს შეუქმნა პირველად დამწერლობა, მოგვიანებით კი ქართული დამწერლობის გრაფიკა დაედო საფუძვლად ოსურ დამწერლობას.

ქართველი ხალხი მე-19 საუკუნიდან მოყოლებული დღემდე ასევე ყოველთვის ზრუნავდა ოსური ენისა და ლიტერატურის განვითარებისათვის, სკოლებში მშობლიურ ენაზე სწავლა-განათლების მიღებისათვის. ისტორიული სიმართლე მეტ პატივისცემას იმსახურებს. სიმართლე კი ის არის, რომ როგორც ჩვენი დიდი პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი აღნიშნავს, ოსებმა ისარგებლეს ქართული „დედა-ენით“ და მოკლე ხანში შექმნეს ოსური „დედა-ენა“. ამასთან, რადგან ფოტოსურათების დამზადება დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული, მათ ითხოვეს ქართველებისაგან კლიშეები, რომლებიც უფასოდ დაეთმოთ.

ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში ქართველი მისიონერები იღვწოდნენ ოსეთის მოსახლეობაში განათლების შესატანად. 1764 წელს ახლად დაარსებულ ციხე-სიმაგრე მოზდოკში გაიხსნა პირველი სკოლა ოსი ხალხის ისტორიაში. ეს სკოლა ერთადერთი იყო არა მხოლოდ ოსეთში, არამედ მთელ ჩრდილოეთ კავკასიაში. როგორც ოსი ისტორიკოსი გ. თოგოშვილი აღნიშნავს,

**„სკოლის გახსნის პროგრესული იდეის ავტორები ქართველი მოღვაწენი იყვნენ... მას ოსი ხალხის კულტურულ ცხოვრებაში ობიექტურად პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა. ამ სკოლაში აღზრდილმა ოსებმა. დადებითი როლი შეასრულეს ოსი ხალხის კულტურული განვითარების საქმეში“.**

XIX საუკუნეში თბილისსა და გორის სასულიერო სასწავლებლებსა და სემინარებში მრავალი ახალგაზრდა სწავლობდა ჩრდილოეთ ოსეთიდან. ისინი შემდგომში ცნობილი საზოგადო მოღვაწენი გახდნენ და თვალსაჩინო კვალი დატოვეს თავიანთ ისტორიულ სამშობლოში სასკოლო განათლებასა და თავისი ხალხის კულტურულ ცხოვრებაში. ცნობილია, მაგალითად, რომ ერეკლე მეფის ბრძანებით საქართველოში მიიღო განათლება იოანე იალღუზიძემ, რომელიც მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში ოსეთის ყველაზე ცნობილი მოღვაწე გახდა. მის მიერ შესრულებულია პირველი ოსური ხელნაწერი (1802 წ.) ქართული გრაფიკით. 1912 წელს ქართული გრაფიკის საფუძველზეა შედგენილი აგრეთვე პირველი ოსური ანბანი. დიდი დამსახურება მიუძღვის ოსური ხალხური ზეპირსიტყვიერების შეკრებაში ცნობილ ქართველ მწერალს **დანიელ ჭონქაძეს,** რომელიც, როგორც ოსური ენის კარგი მცოდნე, 1855 წლიდან თბილისის სასულიერო სემინარიაში ოსურ ენას ასწავლიდა. დანიელ ჭონქაძის მიერ ჩაწერილი ოსური ხალხური შემოქმედების ნიმუშების ნაწილი 1868 წელს პეტერბურგში გამოიცა. მან რამდენიმე წიგნიც თარგმნა ქართულად ოსურ ენაზე. როგორც ა. გაჩეჩილაძე აღნიშნავს, დ. ჭონქაძეს რუსეთის სამეცნიერო აკადემიის მიერ მინდობილი ჰქონდა რუსულ-ოსური ლექსიკონის შედგენა, მუშაობაც დაუწყია, მაგრამ ავადმყოფობის გამო ვერ დაუმთავრებია. ლექსიკონის ნაწილი ამჟამად დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდში.



**ანზორ თოთაძე,**
**პროფესორი.**

**(გაგრძელება იქნება)**

**„რუსეთი ტექნოლოგიურ შეჯიბრში უკრაინას ბევრად წინ უსწრებს. მოსკოვი, იარაღის წარმოების დაჩქარების მიზნით, სამრეწველო სიმძლავრეებს აფართოებს“** – ნათქვამია ამერიკულ გაზეთ **„ვაშინგტონ პოსტში“ (The Washington Post)** გამოქვეყნებულ სტატიაში სათაურით **„უკრაინას ბრძოლის მეთოდები უკან უბრუნდება. რუსეთი ომის სტრატეგიას ცვლის“** (ავტორი – **ერიკ შმიტი**). პუბლიკაციაში გადმოცემულია ამერიკელი სამხედრო ჟურნალისტის თვალსაზრისი რუსეთ-უკრაინის ომის მიმართ, ბრძოლის ფორმებისა და მეთოდების გათვალისწინებით.

**გთავაზობთ სტატიას მცირე შემოკლებით:**

The Washington Post



# „უკრაინას ბრძოლის მეთოდები უკან უბრუნდება. რუსეთი ომის სტრატეგიას ცვლის“

**რუსეთი დაუჯერებელი და არნახული მასშტაბებით აფართოებს იარაღის წარმოებას. უკრაინას რუსეთთან მეტოქეობა არ ძალუძს, სხვისი დახმარების გარეშე. რუსეთი უკვე კარგად სარგებლობს იმით, რომ უკრაინას ჰაერსაწინააღმდეგო საშუალებები აღარ აქვს და დაუბრკოლებლად ბომბავს ელექტროსადგურებს და სხვა ენერგოობიექტებს. კრემლის მიზანია უკრაინას სიბნელე, სიცივე და ტანჯვა მოუვლინოს.**

**ზაფხულის მიწურული იყო, როცა კოლეგებთან ერთად უკრაინის აღმოსავლეთის ფრონტისპირა რაიონიდან მატარებლით წამოსული, კიევში შევედით. უეცრად საჰაერო განგაში გამოცხადდა: ათობით რუსული ბალისტიკური რაკეტა უკრაინის დედაქალაქისკენ მოფრინავსო. მატარებლიდან სასწრაფოდ გადმოვედით და ხალხის ნაკადს შევუერთდით, რომლებიც თავშესაფრისაკენ მირბოდნენ. რამდენიმე წუთის შემდეგ ჩვენს ახლოს აფეთქებების ხმა გაისმა – რუსული ბალისტიკური რაკეტები კიევს ზედიზედ ეცემოდა ციდან, რკინიგზის სადგურის ქვეშ მდებარე დარბაზში, სადაც ჩვენ ვიყავით, მატარებლის ასობით მგზავრი იყო თავმოყრილი, მათ შორის ბავშვებიც და დაბომბვის დასრულებას ველოდით.**

უკრაინაში ომის დაწყებიდან ხშირად დავდივარ, ვეხმარები უკრაინელ სამხედროებს მოწინავე ტექნოლოგიების შექმნაში ფრონტისათვის, მაგრამ ამ ბოლო ყოფნის დროს უფრო მეტი შთაბეჭდილება დამრჩა, ვიდრე ომის პირველ ეტაპზე მივიღე.

რუსეთის არმიის სამხედრო მომზადება მნიშვნელოვნად არის გაუმჯობესებული, სახმელეთო ბრძოლის ველზეც და საჰაერო ფრონტზეც. ვაშინგტონს მოუწევს იმის აღიარება, რომ მოსკოვი ტოტალური ომის სტრატეგიაზეა გადასული, ახდენს მრეწველობისა და ცოცხალი ძალის მობილიზებას, რათა დაბომბვებით აიძულოს უკრაინა კაპიტულაცია გამოაცხადოს. დასავლეთმა უნდა გააცნობიეროს, რომ რუსეთზე გასამარჯვებლად უკრაინისათვის მხოლოდ იარაღის გადაცემა საკმარისი არ არის. უკრაინას სჭირდება, რომ დასავლეთმა უფრო მეტი რესურსის მობილიზება მოახდინოს, რუსეთს წარმოების ტემპებით გაუსწროს და იმდენი იარაღი აწარმოოს უკრაინისადმი მისაცემად, რომ კიევმა მოსკოვის შეტევა წარმატებით მოიგერიოს.

**ომის დიდი ხნის განმავლობაში უკრაინის უპირატესობა ადაპტირების უნარში და ინოვაციების სწრაფ დანერგვაში გამოიხატებოდა. მართალია, რუსეთს ომის წინა წლებშიც მეტი ჯარისკაცი ჰყავდა, მეტი ფული და ძლიერი მრეწველობა ჰქონდა, მაგრამ უკრაინელმა ინჟინრებმა და სტარტაპებმა რამდენიმე თვის განმავლობაში მოახერხეს მოწინავე იარაღისა და თავდაცვითი სისტემების შექმნა, რომლებიც წარმატებით გამოსცადეს კიდეც ფრონტის წინა ხაზზე და სრულყოფილებამდე მიიყვანეს. ომისაგან დაზარალებული უკრაინის თავდაცვის მრეწველობა უფრო სწრაფად და უნარიანად მოქმედებდა, ვიდრე მოუხერხებელი და ტლანქი რუსული სამხედრო ბიუროკრატია.**

მაგრამ, სამწუხაროდ, ეს უპირატესობა ნელ-ნელა ქრება. როცა უკრაინამ რუსული დრონების ხროვის გასანადგურებლად უფრო შედარებით სწრაფი ანტიდრონი-დამჭერი შექმნა, რუსეთმა მოახერხა და უფრო უკეთესი – რეაქტიული დრონიააწყო, რომელიც მაღალი სიჩქარით მოძრაობს და მისი „დაჭერა“ ძნელია. გარდა ამისა, დღეს მოსკოვს კოსმოსში სწრაფად გაჰყავს საკომუნიკაციო (კავშირგაბმულობის) თანამგზავრების დიდი რაოდენობა, რომლებიც კონკურენციას გაუწევენ Starlink-ის ამერიკულ სისტემას – ილონ მასკის კუთვნილი კომპანიის მიერ შექმნილ ორბიტული კავშირის სისტემებს, რომლებიც რუსეთს ბოლო დრომდე არ ჰქონდა.

**ბოლო დროს უკრაინული მხარის საბრძოლო პოზიციებზე მე რაღაც დაუჯერებელი ვნახე: ჯარისკაცები და მეთაურები ბეტონის მიწისქვეშა დოტებში სხედან და კამერებს ათვალიერებენ, რომლებზეც ჩანს, თუ როგორ დაფრინავს ცაში ასობით რუსული დრონი, ისინი ყველაფერს აკვირდებიან და ზვერავენ, თითოეულ უკრაინელ ჯარისკაცზე და სამხედრო ტექნიკაზე ნადირობენ. მიწის ზემოთ სიარული სასიკვდილოდ სახიფათოა: უკრაინელთა დანაკარგების 90% სწორედ პოზიციებს შორის გადაადგილებების დროს ხდება. ბევრ უკრაინელ ჯარისკაცს – როგორც კი წინა ხაზს მიაღწევენ – უკან დაბრუნება უჭირთ, დრონების მსხვერპლნი ხდებიან, ამიტომ თვეობით სხედან დოტებში.**

ეს კონფლიქტი სამხედრო ტექნიკის შეჯიბრის არენას წარმოადგენს. ჩვენ ვაკვირდებით ყველაზე სწრაფად მიმდინარე ტექნოლოგიურ ცვლილებებს ომების ისტორიაში. დრონი, რომელიც გუშინ ძალიან ეფექტური იყო ბრძოლის დროს, დღეს უკვე შეიძლება მოძველებულად ჩაითვალოს, რამდენიმე კვირის შემდეგ კი სრულიად უსარგებლო გახდეს. მოწინააღმდეგე ხშირად ცვლის რადიოსიხშირეებს, ქმნის რადიოკავშირის ჩამხშობ მოწყობილობებს და უფრო სწრაფ უპილოტოებს, ახდენს ტაქტიკის კორექტირებას. და შესაბამისად, ადაპტაციის ციკლი თავიდან იწყება.

უკრაინა ბრწყინვალედ უმკლავდება ბევრ საომარ პრობლემას, მაგრამ ომის ბედს მხოლოდ ინოვაციები არ წყვეტს. საჭიროა მრეწველობის განვითარებისა და გაფართოების მსხვილი მასშტაბები, რომლებიც ესოდენ მაღალი ინტენსიური კონფლიქტის მოთხოვნებს დააკმაყოფილებს. მე ვესაუბრებოდი მეთაურებს, რომლებმაც კარგად იციან თავიანთი საქმე, ასევე კარგად იციან, თუ რა არის საჭირო რუსების შესაჩერებლად, მაგრამ შესაბამისი იარაღი არ აქვთ. ერთ-ერთმა აღიარა, რომ მისმა ქვედანაყოფმა ჰაერში სამიზნის ძებნა შეწყვიტა – უკრაინული დრონები დეფიციტია და მტრის დრონი რომც აღმოაჩინო, მას ვერაფერს დაუპირისპირებ. ეს მიმდინარე ომის საკვანძო განსაკუთრებულ თავისებურებას წარმოადგენს. უკრაინას აქვს ბრწყინვალე ასობით დრონი, რომლებიც ათასობით კილომეტრზე მდებარე რუსეთის ენერგოობიექტებს ანადგურებენ, მაგრამ ეს ომის ბედს ვერ გადაწყვეტს. საჭიროა ასეულობით ათასი კარგი დრონი, რომ ომში გარდატეხა იქნას შეტანილი.

**რუსეთი დაუჯერებელი და არნახული მასშტაბებით აფართოებს იარაღის წარმოებას. უკრაინას რუსეთთან მეტოქეობა არ ძალუძს, სხვისი დახმარების გარეშე. რუსეთი უკვე კარგად სარგებლობს იმით, რომ უკრაინას ჰაერსაწინააღმდეგო საშუალებები აღარ აქვს და დაუბრკოლებლად ბომბავს ელექტროსადგურებს და სხვა ენერგოობიექტებს. კრემლის მიზანია უკრაინას სიბნელე, სიცივე და ტანჯვა მოუვლინოს.**

ბრძოლებში გამოწრთობილი უკრაინის არმია ფრონტის წინა ხაზზე ყოველდღიურად ჭედავს მომავალ გამარჯვებას. უკრაინასთან დასავლეთის უფრო მჭიდრო ინტეგრაცია ხელს შეუწყობს კიევის გამარჯვებას, რათა დასავლეთი (მათ შორის ევროპა), თავის მხრივ, მომზადებული შეხვდეს სამომავლო გამოწვევებს.

**როცა კიევში იმ დღეს დაბომბვის საფრთხის დონე შემცირდა, ჩვენ თავშესაფრიდან გარეთ გამოვედით. ცნობილი გახდა, რომ რუსეთს ათობით ფრთოსანი და ბალისტიკური ჰიპერბგერითი რაკეტები გამოუშვია კიევისაკენ. უკრაინა ოთხ წელზე მეტია ისეთ საჰაერო დარტყმებს იტანს, რომლებიც მსოფლიოს ბევრ ქვეყანას წელში გატეხავდა, მაგრამ უკრაინა არ ნებდება.**

მაგრამ დასავლეთის მიერ უკრაინის სიმტკიცისა და ამტანობის ქება სტრატეგია არ უნდა იყოს, მხოლოდ ქება-დიდებით საქმე ვერ გაკეთდება. უკრაინამ თავისი ჯარისკაცების სისხლისღვრით და ინჟინრების ტალანტით ომს ოთხი წელი გაუძლო... ახლა კი ჩვენ უკრაინა ისევ მარტო არ უნდა დავტოვოთ, როცა მკაცრი ზამთარი ახლოვდება.



თარგმნა
**სიმონ კილაძემ**

## „როიტერი“: უნგრეთის მთავრობა ორბანის პრემიერობისას მიღებულ კანონს ცვლის!

**უნგრეთის მთავრობა შეცვლის 2020 წელს ვიქტორ ორბანის მთავრობის მიერ მიღებულ კანონს, რომელმაც ერთნაირსქესიანი წყვილებისთვის ბავშვის შვილად აყვანა, ფაქტობრივად, აკრძალა,** – ინფორმაციას ამის შესახებ **„როიტერი“** ავრცელებს.



უნგრეთში, რომელიც ევროკავშირის წევრი სახელმწიფოა, ერთსთნაირსქესიანი წყვილებისთვის 2020 წლის ბოლომდე შვილის აყვანა შესაძლებელი იყო იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთი პარტნიორი განაცხადს მარტოხელა პირის სტატუსით შეიტანდა.

**ვიქტორ ორბანის მემარჯვენე პარტიის, „ფიდესის“ მიერ 2020 წელს მიღებული კანონის თანახმად, მარტოხელა პირებს შვილის აყვანის შესახებ განაცხადის დასაკმაყოფილებლად ოჯახის საკითხებში მინისტრის თანხმობა სჭირდებოდათ, რაც ერთნაირსქესიანი წყვილებისთვის შვილად აყვანის შესაძლებლობის ფაქტობრივ აკრძალვას ნიშნავდა.**

როგორც „როიტერი“ წერს, შვილის აყვანის სისტემის შეცვლა LGBTQ+ ადამიანების უფლებების აღდგენის მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება.

**უნგრეთში ერთნაირსქესიანთა ქორწინება კვლავ არ არის დაშვებული, თუმცა ქვეყანა სამოქალაქო პარტნიორობას აღიარებს.**

# ბრიტანელი მეცნიერების საშიში ექსპერიმენტი

საიდუმლო სამეცნიერო ცენტრებში გამოანგარიშებული იყო, რომ ოპერაციის მსვლელობისას შესაძლებელი გახლდათ, თითქმის, ყველა გერმანული ძროხის, ცხვრისა და ცხენის დაავადება. გარდა ამისა, თუ გაუმართლებდათ – ღორების დიდი ნაწილისაც. 60%-მდე მსხვილფეხა და წვრილფეხა შინაური ცხოველი განადგურდებოდა, ხოლო რომელიც გადარჩებოდა, საკვებად უვარგისი იქნებოდა. აქედან გამომდინარე, ბრიტანელი მეცნიერები გეგმავდნენ, გამანადგურებელი დარტყმა მიეყენებინათ რაიხისთვის.

გეგმა კარგი იყო და სავსებით რეალური, მაგრამ, იმისთვის, რომ გამართლების იმედად არ ყოფილიყვნენ, ინგლისელებმა გადაწყვიტეს, მისი ეფექტურობა პოლიგონზე გამოეცადათ. სახიფათო ექსპერიმენტისთვის არჩეული იქნა პატარა კუნძული შოტლანდიასთან ახლოს, სადაც 1942 წლის ზაფხულში 60 განწირული ცხვარი გადაიყვანეს. ზარაზე თვითმფრინავიდან გადმოაფრქვიეს სასიკვდილო შტამი და ეფექტს დაელოდნენ. როგორც ვარაუდობდნენ, რამდენიმე კვირის განმავლობაში ყველა ცხვარი მოკვდა.

დღეს ზუსტად არ არის ცნობილი, ინგლისის რომელ მეცნიერს გაუჩნდა მეორე მსოფლიო ომში ბიოლოგიური იარაღის გამოყენების იდეა. ოპერაცია, რომელსაც „ვეგეტარიანელი“ უწოდეს, მიზანმიმართული იყო არა მტრის, არამედ გერმანიის ტერიტორიაზე და რაიხის მოკავშირე ქვეყნებში შინაური ცხოველების გასანადგურებლად. ინგლისელები გეგმავდნენ, მტრის საქონელი ციმბირული წყლულით დაეავადებინათ, რათა ეპიდემია და მასთან დაკავშირებული შიმშილობა დაწყებულიყო.




**ექსპერიმენტი დასრულდა. ყველა მონაწილეს მადლობა გადაუხადეს და მხოლოდ ფორმალური საკითხების მოგვარებაღა იყო დარჩენილი ანუ სახიფათო ბიომასალის განადგურება. თითქოს, რა უნდა ყოფილიყო იმ სტანდარტულ პროცედურაზე უფრო ადვილი, ვიდრე საშიში ვირუსით მოკლული ცხოველების ნაშთების უტილიზაცია? მთელი მსოფლიოს მასშტაბით, ცხოველების ცხედრებს წვავდნენ და შემდეგ იზოლირებულად ინახავდნენ, თუმცა ბრიტანელმა მეცნიერებმა გადაწყვიტეს, საკითხს სხვანაირად მიდგომოდნენ და უბრალოდ, ააფეთქეს მკვდარი ცხოველები.**

დღეს მოვლენების თანმიმდევრობით აღდგენა საკმაოდ რთულია, მაგრამ სრულებით ცხადია, რომ არაფრთხილი უტილიზაციის პირობებში, ხორცის ნაჭრები ზღვაში მოხვდა, რომლებიც შემდგომში მეზობელ, დასახლებულ კუნძულებზე აღმოჩნდა. ნაპირზე დაინფიცირებული ხორცის ნაჭერი რომელიღაც ცხოველმა იპოვა, შესაძლოა, ძაღლმა ან კატამ და სასიკვდილო სენი კუნძულზე ერთადერთ დასახლებულ სოფელში შეიტანა.

ცხადია, ძალიან მალე კუნძულზე მცხოვრებ ხალს პრობლემები დაეწყო. სამხედრო უწყებამ მათ ჩივილზე ძალიან სწრაფი რეაგირება მოახდინა. მთელი საქონელი ამოიღეს და გაანადგურეს, ხოლო მათ მფლობელებს სახელმწიფომ ყველაფერი აუნაზღაურა და ზედმეტიც გადაუხადა დუმილისთვის. ასევე, ჩატარდა კუნძულის დეზინფექცია. როგორც ცნობილია, კუნძული კარანტინში, ეპიდემიოლოგების მეთვალყურეობის ქვეშ 40 წლის განმავლობაში იმყოფებოდა. მხოლოდ 1986 წელს, გრუნტის ზედა ფენის უტილიზაციის ჩატარების და მთელი კუნძულის დამუშავების შემდეგ, ბრიტანელებმა კუნძულზე საქონელი შეიყვანეს. რაც შეეხება ოპერაცია „ვეგეტარიანელს“ საბედნიეროდ, ბაქტერიული შეტევა, რომელსაც მთელ ევროპაში ციმბირული წყლულის ეპიდემიის გამოწვევა შეეძლო, არ განხორციელდა.

**1943 წელს გერმანელებმა სტალინგრადის ბრძოლა წააგეს, რამაც ყველა ფრონტზე გარდატეხა მოახდინა. ცხადი გახდა, რომ გერმანიის კაპიტულაცია მხოლოდ დროის საკითხი იყო და ინგლისელებმა თავისი მზაკვრული გეგმის განხორციელება გადაიფიქრეს.**

# რატომ გაუშვეს კოსმოსში 480 მილიონი ნემსი



**1960-იანი წლების დასაწყისში, ცივი ომის პიკზე, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა განახორციელა ერთ-ერთი ყველაზე უცნაური და ამავდროულად ამბიციური კოსმოსური ექსპერიმენტი კაცობრიობის ისტორიაში. პროექტს ეწოდებოდა Project West Ford (ან West Ford Needles) და მისი მთავარი მიზანი დედამიწის ირგვლივ ხელოვნური იონოსფეროს შექმნა იყო.**

იმ პერიოდში შორ მანძილზე კავშირი დამოკიდებული იყო ან წყალქვეშა კაბელებზე, ან იონოსფეროდან რადიოსიგნალების არეკვლაზე. აშშ-ის სამხედროებს სერიოზული შიში ჰქონდათ: საბჭოთა კავშირს ადვილად შეეძლო წყალქვეშა კაბელების გადაჭრა, ხოლო ბუნებრივი იონოსფერო მზის აქტივობის გამო ხშირად არასტაბილური ხდებოდა.

**ამერიკელებს სჭირდებოდათ გლობალური კომუნიკაციის ისეთი სისტემა, რომელსაც მტერი ვერც დააზიანებდა და ვერც გაანადგურებდა. მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტის მეცნიერებმა წამოაყენეს ჰიპოთეზა: თუ დედამიწის ორბიტაზე მილიონობით პატარა სპილენძის ნემსს გავაფრქვევთ, ისინი შექმნიან ხელოვნურ რადიო-არეკვლის ფენას. თითოეული ნემსი სულ რაღაც 1.78 სმ სიგრძისა და 17.8 მიკრომეტრის სისქის იყო (ადამიანის თმაზე თხელი).**

**ორბიტაზე გაიგზავნა დაახლოებით 480 მილიონი ასეთი ნემსი. მუშაობის პრინციპი: ნემსები მოქმედებდნენ როგორც მიკროსკოპული დიპოლური ანტენები, რომლებიც კონკრეტულ სიხშირეზე (8 გიგაჰერცი) რადიოსიგნალებს ირეკლავდნენ.**

პირველი მცდელობა 1961 წელს წარუმატებლად დასრულდა – ნემსები ორბიტაზე სწორად ვერ გაიფანტა. თუმცა, 1963 წლის 9 მაისს გაშვებულმა მეორე აპარატმა წარმატებას მიაღწია. ნემსები დედამიწის ირგვლივ 3500 კილომეტრის სიმაღლეზე თანაბარ რგოლად განაწილდნენ.

**ჰიპოთეზა დადასტურდა: მეცნიერებმა შეძლეს რადიოსიგნალის წარმატებით გადაცემა კალიფორნიიდან მასაჩუსეტსამდე ამ ხელოვნური „ღრუბლის“ საშუალებით.**

**მიუხედავად ტექნოლოგიური წარმატებისა, პროექტმა მსოფლიო მასშტაბის პროტესტი გამოიწვია. ასტრონომები მთელი მსოფლიოდან (მათ შორის აშშ-შიც) აცხადებდნენ, რომ ლითონის ნემსების ღრუბელი ხელს შეუშლიდა ოპტიკურ და რადიოასტრონომიულ დაკვირვებებს. საბჭოთა კავშირმა პროექტი კოსმოსის დაბინძურებად შეაფასა.**

ამავდროულად, სწორედ ამ პერიოდში დაიწყო თანამედროვე საკომუნიკაციო თანამგზავრების (როგორიც იყო Telstar) ეპოქა. თანამგზავრები ბევრად ეფექტური აღმოჩნდა, ვიდრე ორბიტაზე ნემსების გაფანტვა. შედეგად, პროექტი საბოლოოდ დაიხურა.

**რა ბედი ეწია ნემსებს გეგმის მიხედვით, მზის გამოსხივების წნევას ნემსები რამდენიმე წელში ატმოსფეროში უნდა ჩამოეყარა, სადაც ისინი უსაფრთხოდ დაიწვებოდნენ. ნემსების უმეტესობამ მართლა დატოვა ორბიტა, თუმცა მათმა გარკვეულმა ნაწილმა ერთმანეთში შეჯახების გამო ჯგუფები შექმნა. ეს მცირე კლასტერები დღემდე რჩება დედამიწის ორბიტაზე, როგორც კოსმოსური ნაგავი და ცივი ომის ეპოქის უცნაური ძეგლი.**

# 4 400 წლის წინანდელი სამარხი

**ესპანელმა და ეგვიპტელმა არქეოლოგებმა საკარაში 4 400 წლის წინანდელი სამარხი აღმოაჩინეს, რომელსაც თავდაპირველი ფერები აქვს შენარჩუნებული.**

ესპანურ-ეგვიპტურმა არქეოლოგიურმა მისიამ, ბარსელონას ავტონომიური უნივერსიტეტისა და ეგვიპტის სიძველეთა უმაღლესი საბჭოს ეგიდით, კაიროს სამხრეთ-დასავლეთით, საკარას ნეკროპოლისში, ძველი სამეფოს მეხუთე დინასტიის პერიოდის (ძვ. წ. 2494–2345 წწ.) უნიკალური სამარხი აღმოაჩინა.

სამარხი მაღალჩინოსან იუნმენს ეკუთვნოდა, რომელიც ფარაონ ჯედკარა ისესის მმართველობის ხანაში მოღვაწეობდა. იმავე სამარხში დაკრძალულიყო მამამისი იტიც – შედარებით დაბალი რანგის მოხელე. არქეოლოგების ვარაუდით, ორმაგი სამარხი ასახავს იუნმენის სოციალურ დაწინაურებას ცენტრალურ ადმინისტრაციაში და მის სურვილს, პატივი მიეგო მამის ხსოვნისთვის.

ძეგლი გამოირჩევა თავისი არქიტექტურული სილამაზითა და მაღალი ოსტატობით შესრულებული რელიეფებით, რომლებიც სოფლის მეურნეობის სცენებსა და შესაწირის პროცესიებს ასახავს. ეგვიპტის ტურიზმისა და სიძველეთა სამინისტროს ცნობით, ნამუშევრები საოცრად კარგადაა შემონახული და მათზე თავდაპირველი საღებავების ფერები დღემდე მკაფიოდ ჩანს.

ტერიტორია ჯერ კიდევ მე-19 საუკუნიდან იყო ცნობილი, თუმცა სიღრმისეულად არასდროს შესწავლილა. ამ აღმოჩენამ მეცნიერებს ძველი ეგვიპტის არქიტექტურასა და ადმინისტრაციულ ცხოვრებაზე ახალი მონაცემები მიაწოდა. არქეოლოგები ვარაუდობენ, რომ იქვე ახლოს კიდევ ორი მსგავსი სამარხი მდებარეობს, რომელთა გათხრასაც მომავალში გეგმავენ.



# შვილმკვდარი დედა



**16 სექტემბერს ჩვენი უღალატო მეგობრის, კეთილშობილი ქალბატონის მანანა გურგენაშვილის დაბადების დღეა. ადრე, როგორც ყველას, მასაც უყვარდა თავისი დაბადების დღე, მხიარულება, ღიმილი და იუმორი... ახლა აღარ უყვარს. გულჩათხრობილი და სევდიანია, რადგან აღარც ეხალისება და აღარც ემხიარულება. 2022 წლის 7 ოქტომბერს მას ერთადერთი შვილი მაკა სევდიანიშვილი მოუკლა ვიღაც უცხოელმა, საქართველოს შემოკედლებულმა ეგვიპტელმა მანიაკმა.**

ჩემი სიცოცხლე იმ დღეს დასრულდა, როცა მაკას მკვლელობის ამბავი მაცნობესო – ამბობს ქალბატონი მანანა, მაგრამ ცხოვრება გრძელდება, დრო სწრაფად მიედინება და გვინდა თუ არა, უნდა ვიცოცხლოთ, ვიდრე უფალი ინებებს...

– მაკა რომ მომილოცავდა დაბადების დღეს (ამას მას ვერავინ დაასწრებდა), ამ ქვეყნად ყველაზე ბედნიერი ქალი ვიყავი. ახლა სხვები მილოცავენ, ბედნიერებას და ხანგრძლივ სიცოცხლეს მისურვებენ. მაგრამ სად არის ბედნიერება, ან რისთვის, ვისთვის მინდა ხანგრძლივი ცხოვრება? – შენიშვნას მაძლევს ქალბატონი მანანა.

მართლაცდა, რა შეიძლება უხაროდეს შვილმკვდარ დედას? ნამდვილად არ ვიცი. ვიცი მხოლოდ ის, რომ მანანა უკვე მეოთხედ ემზადება შვილის გარდაცვალების დღის აღსანიშნად. ნუგეშად ჩაესმის ყურში ჩვენი დიდი პატრიარქის ილია II-ის შეგონება: **ადამიანს ორი თარიღი უნდა აღუნიშნოთ აუცილებლად – დაბადების და გარდაცვალების. რადგან ორივე დაბადების დღეა – პირველი დაბადების დღეა წუთისოფელში, ხოლო მეორე – მარადიულ ქვეყანაში. ჰოდა ემზადება შვილის იმ ქვეყნად დაბადების დღის ღირსეულად აღნიშვნისთვის.**

მაგრამ ასეა თუ ისე, როგორც არ უნდა იყოს, 16 სექტემბერს მანანა გურგენაშვილის დაბადების დღეა და უნდა მივულოცოთ, მხნეობა, სულის სიძლიერე ვუსურვოთ, რათა ღირსეულად შეხვდეს ამ დღესაც და უკვე კარს მომდგარ 7 ოქტომბერს, მაკას დაღუპვის მორიგ წლისთავს.

მანანა გურგენაშვილი (ერთ დროს სოციალური სფეროს წარჩინებული, ნიჭიერი, ძლიერი ეკონომისტი), ამჟამად ქართული პრესის გავრცელებითაა დაკავებული. წლებია, სოლოლაკში, ლადო ასათიანის ქუჩაზე დგას და მკითხველს სთავაზობს თითზე ჩამოსათვლელად დარჩენილ ქართულ ჟურნალ-გაზეთებს. გახსოვთ, ალბათ, ლადო ასათიანის ლექსიდან: □მე ფიროსმანის ქუჩაზე ვცხოვრობ და ყოველ დილით ვხვდები ნიკალას□.. ასეა ქალბატონი მანანაც, ის თითქმის ცხოვრობს ლადო ასათიანის ქუჩაზე და ყოველ დილით ხვდება ლადო ასათიანსაც და ამ ქუჩის მცხოვრებლებსაც, რომლებმაც ის უსაზღვროდ შეიყვარეს და პატივს სცემენ. თბილისის ამ უძველესი უბნის კოლორიტადაც მონათლეს. სოლოლაკის სახედ მიაჩნიათ. მანანას აქ ყველა ცნობს, ყველა ეფერება, თვითონაც ყველას უნაწილებს თავისი დიდი გულის სითბოს. სოლოლაკელებსაც უყვართ ეს მუხლჩაუხრელი, დაუზარელი, ადამიანთმოყვარე ქალბატონი.

გარეგნულად ვბერდებიო, ამბობს, სევდამ და დარდმა თავისი გაიტანა, შვილმა ჩემი გულის უდიდესი ნაწილი თან გაიყოლა, მაგრამ სულით არ დავცემულვარო...

მართლაც! ისევ ის უანგარო, ისევ ის ერთგული, ისევ ის ქველმოქმედი, ისევ ის ადამიანთმოყვარე მანანა შემოგეგებებათ, თუკი მის სავაჭრო სივრცეს მიეახლებით სოლოლაკში, ახალ ამბებთან ერთად მასაც გაიცნობთ. დარწმუნებული იყავით, მისი სახით შეიძენთ უერთგულეს, სიცოცხლის ტრფიალ მეგობარს. მანანას სწორედ ასეთად მიიჩნევენ სოლოლაკელი ღირსეული ადამიანები და ამიტომაც ეფერებიან, გვერდში უდგანან და შვილის მაგივრობას უწევენ, გაუსაძლის ტკივილს უმსუბუქებენ. საბედნიეროდ ბევრია ასეთი ადამიანი, სოლოლაკელიც და არასოლოლაკელიც. ჩვენ მხოლოდ რამდენიმეს ჩამოვთვლით:



– **გრიგოლ (გიგა) გიორგაძე** – საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე,

– **მიხეილ (მიშა) ხუხაშვილი** – კომპოზიტორი და შემსრულებელი, დაუვიწყარი ჯამლეტ ხუხაშვილის შვილი,

– **ევა ბაბალაშვილი** – თბილისის საპატიო მოქალაქე, ჯამლეტ ხუხაშვილის მეუღლე,

– **მანანა დუნდუა** – პოეტი, გარდაცვლილი სახელმწიფო მოღვაწის და ბიზნესმენის გია ჭანტურიას მეუღლე,

– **შმაგი ქემერტელიძე** – ბიზნესმენი,

– **ცოლ-ქმარი დიანა და ჟაკი** – მანანას ფრანგი მეგობრები,

– **ლევან ვეფხვაძე** – მაკა სევდიანიშვილის მკვლელობის საქმის პროკურორი,

– **ლაშა ტუხაშვილი** – გამომძიებელი,

– **ნინო თვაური** – მანანას სოლოლაკელი მეზობელი.

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები.**

**სხვანი და სხვანი...**

**ღმერთმა გვიცოცხლოს მანანა გურგენაშვილი და ყველა, ვინც გულთან მიიტანა მისი მოუშუშებელი ტკივილი და გვერდში დაუდგა ამ სამაგალითო ქალბატონს!.**

**ამირან ბუთურიშვილი**

# წყალტუბოს არქიტექტურა ნიუ-იორკში მოხვდა



**ნიუიორკში უცხოელი არტისტების ალის ვექსელის და რაიან კუპმანსის სოლო გამოფენაზე The Wild Within (ველური ბუნება შიგნიდან) შინაგანი სიველურე, წყალტუბოს შთაგონებით შექმნილი მოზაიკები გამოიფინება. ეს არის პროექტის ისტორიაში ყველაზე მასშტაბური პრეზენტაცია,** – ამის შესახებ ინფორმაციას უცხოური პრესა და ადგილობრივი მედიასაშუალებები აქვეყნებენ.

**რაიან კუპმანსმა** და **ვექსელმა** პირველად საქართველოში 10 წლის წინ იმოგზაურეს და ფოტოხელოვანთა ყურადღების ცენტრში წყალტუბოში არსებული არიქტექტურა მოექცა, ამ ორმა ნიჭიერმა არტისტმა მიტოვებული შენობების ძიებაში წყალტუბოს სანატორიუმების ინტერიერისა და ექსტერიერის ფოტოები ციფრულად გარდაქმნეს და შეიქმნა არქიტექტურისა და წარმოსახვითი ბუნების განსაკუთრებული ერთობლიობა, რამაც მალე საერთაშორისო გამოხმაურება ჰპოვა. მას შემდეგ კუპმანსი და ვექსელი სხვადასხვა ქვეყანაში მოგზაურობდნენ, იკვლევდნენ მიტოვებულ სასახლეებს, თეატრებსა და საზოგადოებრივ სივრცეებს. როგორც თავად ავტორები ყვებიან, მათი ნამუშევრები ეკრანიდან რეალურ სივრცეში ინაცვლებენ და ყვავილის კოლაბორაციით მინის მოზაიკებში გარდაიქმნებიან. აქედან ორი ახალი ნამუშევარი წყალტუბოს ეძღვნება.



**□ამ მოზაიკების ისტორია ძალიან მჭიდროდ არის დაკავშირებული საქართველოსთან, 10 წლის წინ როცა საქართველოში ვიყავი, განსაკუთრებული შთაგონება წყალტუბოში ყოფნისას მივიღე, დიდმა კედლის მოზაიკებმა და კერამიკულმა ნამუშევრებმა განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინეს, ისინი ქართულ კულტურასა და საბჭოთა ეპოქაზე სხვადასხვა ისტორიას ჰყვებოდნენ. ფოსტის შენობა ვნახე, ბნელი იყო, მაგრამ იატაკზე დაყრილი ღია ბარათები მკვეთრად ანათებდნენ, ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ყვავილები შენობის იატაკიდან იზრდებოდნენ, სწორედ ამ ვიზუალმა მოგვცა პირველი იდეა ამ პროექტის განსახორციელებლად. თითოეული ეს ღია ბარათი ცალ-ცალკე გადავიღეთ და შევინახეთ, შემდეგ მათი ისტორია შევისწავლეთ და გავიგეთ, თუ როგორ ფართოდ გამოიყენებოდა სხვადასხვა დღესასწაულის ან ზეიმის დროს. რეტროს სტილის მინი მოზაიკური ფოტოები მინის ქანდაკებებად ვაქციეთ, სადაც მინის თითოეული ნაჭერი ციფრულ ფიქსელს განასახიერებს და პატარა წერტილებით სრულყოფილ გამოსახულებას ქმნის.**



**წყალტუბოში 8 წლის წინ გადაღებული კიბე გამოფენის შთაგონების მთავარი წყარო გახდა. ჩვენი მიზანი იყო ის რეალობიდან ციფრულ სივრცეში გადაგვეტანა და შემდეგ ისევ ფიზიკურ რეალობაში, ნამდვილი არქიტექტურული მასალებით დაგვებრუნებინა.**

**წყალტუბოს ძველ სანატორიუმებში განსაკუთრებით იგრძნობა კონსტრუქცია, ბევრი ბეტონი, ფოლადი და კედლებიდან გამოშვერილი მეტალის ღეროები. სწორედ ამ ინდუსტრიულმა ხასიათმა და ძველმა მოზაიკამ განსაზღვრა ნამუშევრის ვიზუალური გადაწყვეტაც,□** – ამბობს არტისტი **რაიან კუპმანსი** ერთ-ერთ ინტერვიუში.

მუშაობის პროცესი ასეთია: ფოტოსურათი ჯერ 3D ფორმატში გადააქვთ, ბოლო ეტაპი ციფრული კომპოზიციის გადატანაა მოზაიკაში. ეს მოზაიკა ძალიან დიდია, მისი სიგანე 270 სმ-ია და 150 კგ-ს იწონის.

**კითხვაზე, გაძლევთ თუ არა ემოციებისა და იდეების გამოხატვის შესაძლებლობას შუშასა და მოზაიკაზე მუშაობა, რასაც ციფრულ ნამუშევრებში ვერ გადმოსცემთ, რაიანმა უპასუხა, რომ ხელით მუშაობას თავისი ხიბლი აქვს, ნამუშევრებთან ძალიან ძლიერ ემოციურ ბმას ამყარებ, მიუხედავად იმისა, რომ კონცეფცია მსგავსია, პროცესის ფიზიკურობა სრულიად ახალი მიმართულებაა, კარგია როცა გაქვს არჩევანი და შეგიძლია ორივე ტექნიკით მუშაობა.**

გამოფენის ავტორმა არტისტებმა ერთმანეთი სწორედ ნიუიორკში გაიცნეს და მას შემდეგ ერთად მუშაობენ და არაერთ წამრატებას მიაღწიეს, მათ შორისაა წყალტუბოთი შთაგონებული ნამუშევარი □Devotion□(ერთგულება), რომელიც 2002 წელს მსახიობმა ჯიმ ქერიმ შეიძინა. ასევე ნამუშევარი, რომელიც კრისტის ლონდონის აუქციონზე ცოცხლად გაიყიდა. გამოფენა 10 სექტემბერს გაიხსნა და 22 სექტემბრამდე გაგძელდება.

ექსპოზიციას ნიუიორკის **Leila Heller Gallery**-ის □აპერ ისტ-საიდში□გამოფენენ (მანჰეტენის მხარეს), სადაც ცენტრალური მოზაიკური ნამუშევარი წყალტუბოს აქრიტექტურის კიბის უჭრაა, სათაურით **„Walk With Me□** გამოფენაზე წარმოდგენილ მოზაიკებს შორის ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი და დიდი ზომის (270X152 სმ) ნამუშევარია.

**მოამზადა**

**სოფიკო ყანჩაველმა**

— **რომ იცოდე, გუშინ ვინ გავიცანი** – მეუბნება რედაქციაში მობრძანებული სულმნათი კოლეგა და დიდი მოამაგე **ვილენ მარდალეიშვილი**.

– როცა კითხვას ვუბრუნებ, სახე კიდევ უფრო უნათდება და ბუხუნა ბარიტონით ოთახში კედლებს აზანზარებს – **გია ჯაფარიძე!** შემდეგ კი ღიმილით უმატებს: მაინც, რა პიროვნება ყოფილა ეს დეპუტატი კაციო.

თურმე, არაგვისპირში **თენგიზ არჩვაძის** დაბადების დღეზე მოულხენიათ, რასაკვირველია, **ზურაბ ქაფიანიძის** კამპანიაში და ჩვეული სიალალით იუმორნარევი საყვედურითაც დამაჯილდოვა – ვერ დაემგვანე რაჭველ კოლორიტებს მუსიკალური ნიჭითო?

ცალკე სასაუბრო თემაა პოპულარული მსახიობის მშობლიური ონის კულტურის სახლის ფოიე, სადაც თვალსა და გულს ახარებდა საოჯახო დინასტიების შემოქმედების ამსახველი ექსპონატების გალერეა. სხვათა შორის, ამ წერილის გმირთან ერთი ფაქტი მაკავშირებს – დიდმა მაესტრომ, საქართველოს სახალხო არტისტმა **გიგა ჯაფარიძემ** ვერაფრით დაითანხმა როლზე ჩვენი მამები.

როცა გია (თამაზ) ჯაფარიძეზე ვსაუბრობთ, ღირსეული პატივი უნდა მივაგოთ 4 შვილის აღმზრდელი სამაგალითო გმირი დედისა და რაიონის ქართული ენისა და ლიტერატურის ლეგენდარული მასწავლებლის **შუქურა ჯაფარიძის** ნათელ ხსოვნას, რომელიც მომავალ თაობებს უპირველესად „სამშობლოს გრძნობა განსაკვირველს“ უვითარებდა. ჩვენ გაკვეთილებს თანამედროვე **ილია ჭავჭავაძე** გვიტარებდაო – ესეც მსმენია სახალხო პედაგოგის შესახებ მადლიერი მოსწავლისაგან და ძნელია არ დავეთანხმოთ მას.



აქვე ერთი პარალელიც: სიმბოლურია, რომ სწორედ ზებუნებრივი სილამაზით მადლმოსილ დას ანდო სახელოვანმა რეჟისორმა ეკატერინე ჭავჭავაძის როლის უკვდავყოფა საეტაპო მნიშვნელობის სპექტაკლში „ბარათაშვილი“.

ნეტავი იმ დროს!

აქვე მრავლისმეტყველი ეპიზოდი ხელოვანის პირადი ცხოვრებიდან, რომელიც სრულყოფილ წარმოდგენას გვიქმნის მის ზნეობრივ კოდექსსა და საკაცობრიო იდეალებისადმი ერთგულებაზე.

მოკლედ, როცა სიყვარულმა მოითხოვა, რიგითმა ჯაფარიძემ საბჭოთა ჯარი მიატოვა და რჩეულთან ერთად თითით საჩვენებელი შთამომავლობა აღუზარდა მამულს.

**ახლა კი, ვფიქრობ, უკვე დროა 70 წლის მთაკაცს მოვუსმინოთ. ჩვენი დიალოგი ახმეტელის თეატრში მის საგრიმიოროში ჩავიწერე, სადაც 1982 წლიდან მოღვაწეობს და კოლეგათაგან ყველაზე ახალგაზრდას გაუხსნეს ვარსკვლავი.**

# შინაომებისთვის არ მცალია, მე ყველგან სიყვარულს ვთესავ!



საიუბილეო საღამოზე ონში

**– ბუნებრივია, ჩემი პროფესიული არჩევანი ჭეშმარიტ ბუმბერაზებს – ბიძებს უკავშირდება: გიგამ 5 წლისა ამიტაცა და სცენაზე დამსვა, 17 წლის ჭაბუკი კი კარლ გუცკოვის „ურიელ აკოსტაში“ მათამაშა, ხოლო ასევე გამოჩენილმა ლოტბარმა შალვამ, ასევე გავშვი, მომღერალთა გუნდის წევრად მაკურთხა.**

**– ორი სათაურისა არ იყოს, საინტერესოა – საიდან ორი სახელი?**

– არაფერი განსაკუთრებული – თამაზი მამამ დამარქვა, ხოლო გია – დედამ.

**– ალბათ, გვერდს ვერ ავუვლით ტრადიციულ დილემას – კინო თუ თეატრი?**

– რა თქმა უნდა – თეატრი! რა შეედრება დარბაზთან პირისპირ ურთიერთობას, როცა აუდიტორიის თითოეულ ამოსუნთქვას გრძნობ.

**– როგორც ყველა ადგილის დედას, ზემო რაჭასაც ამკობს მხოლოდ მისეული ფენომენი...**

– მიგიხვდი ჩანაფიქრს. ონის ბულვარი და მისი მშვენება – კულტურის სახლი ჩემს შემეცნებაში იყო და არის კულტურის შეუდარებელი ცენტრი, ხოლო რაც შეეხება საბილიარდოს, როგორც უფროს-უმცროსობისა და ენამოსწრებულობის კერას, იქ ნაღდი ონის სურნელი იფრქვეოდა.

**– როგორც ყოფილი პარლამენტარი და სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლი პატრიოტი, როგორ შეაფასებდით მიმდინარე ცხელ პოლიტიკურ შემოდგომას?**

– მიმაჩნია, რომ ჯერ გარდამავალი პერიოდი არ დასრულებულა – მოსემ ხომ 40 წლის განმავლობაში ატარა ებრაელები უდაბნოში, ვიდრე მიზანს მიაღწევდა. ისიც გასათვალისწინებელია, რომ რუსეთისგან უპირველესად შინაგანად უნდა გავთავისუფლდეთ.

და რაც მთავარია, გვიყვარდეს ერთმანეთი და გვეშველება კიდეც...

**– მოდით, სასცენო ცხოვრებას დავუბრუნდეთ, კონკრეტულად კი ახმეტელის თეატრს და შეგეხოთ თუ არა შემოქმედებით კარიერაში ქართული თეატრის აქილევსის ქუსლი – თაობათა შორის ქიშპი...**

– გლდანში 1982 წლიდან ვმოღვაწეობ და მეამაყება, რომ იგი შავ-ბნელ წლებშიც კი არ გაჩერებულა, სხვა დასებისგან განსხვავებით, და სპექტაკლებს სიცივესა თუ უშუქობაშიც ვდგამდით. მაგალითად, ყინვაში წელზემოთ შიშველმა შევასრულე ქალაქის თავის როლი **თამაზ გოდერძიშვილის** პიესაში „ვირის ჩრდილი“ (**ცოტნე ნაკაშიძისა** და **გოგი ქავთარაძის** დადგმა). საერთოდ კი ვთვლი, რომ იღბლიანი მსახიობი ვარ, როლების სიმცირეს არ ვუჩივი და რაც მინდა, იმას ვთამაშობ. ასე რომ, შინაომებისთვის არ მცალია. აქვე ვისარგებლებ შემთხვევით და მართალთა საუფლოში მადლიერებით მოვიკითხავ ბატონ **ლერი პაქსაშვილს** და ძველ გვარდიას.

**– თქვენს კინო და სცენურ გმირებს კარგად იცნობს საზოგადოება, მაგრამ თოვლის ბაბუადაც მოგვევლინეთ, რომელშიც ბევრმა ვერ გიცნოთ...**

– ეს გრიმის დამსახურება გახლდათ, კახელებმა კი თოვლის პაპა შემარქვეს. ეტყობა, კარგი ფეხი მაქვს და სანამ თოვლის პაპა ვიყავი, თოვლი არ მოკლებია ქვეყანას.

**– რაიმე სახალისოს ხომ არ გაიხსენებდით ჩვენი გაზეთის მკითხველთათვის?**

– სიამოვნებით: სიღნაღსა და დედაქალაქის ზარმაცების ხაშის დარბაზში დაინტერესდნენ, თუ რატომ არ ვთვრებოდი. მე მაქვს რიტუალი, რომ როცა არაყს გეახლებით, „რუმკაში“ ჩაძახებას ვანხორციელებ და ალკოჰოლი თითქოს არ მეკარება. ჰოდა, ერთ-ერთმა ისრაელელმა სტუმარმა მომბაძა და მესამე ცდის შემდეგ ჩაყვინთა...

**– ჯანსაღ სხეულში რომ ჯანსაღი სულია, ინტერვიუს დაწყებამდე კიდევ ერთხელ დამარწმუნეთ, როცა აზობოქრებულ რიონში თქვენი შარშანდელი ვაჟკაცური შეცურვის კადრები მაჩვენეთ. მეგობრობთ სპორტთან?**

– დიახ, ქართული ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდიუმის წევრი და ჩვენი ეროვნული საუნჯის დიდი ქომაგი გახლავართ. სხვათა შორის, ერთი შვილიშვილი ფეხბურთითაა გატაცებული, ხოლო გოგონა – ძიუდოთი.

**– და ბოლოს – ხელოვანის გენებმა თუ გაიღვიძა მონაგარში?**

– შუქურა და შორენა ცეკვის ტრფიალნი არიან და ეს უკანასკნელი სუხიშვილების სტუდიაში მასწავლებლობს კიდეც, ჯაბა კი ეკონომიკური და თეატრალური განათლების მიღების შემდეგ მას მერე, რაც ოჯახი დააწვა მხრებზე, ჩემი რჩევით არმიას დაუბრუნდა.

* * *

**31 ივლისს ონის გიგა ჯაფარიძის სახელობის კულტურის სახლში საზეიმოდ აღინიშნა საყვარელი მსახიობის 70-წლოვანი იუბილე.**

ჩალხია, „ჩორტ ევო ზნაეტ“ და **სოსო ჯაჭვლიანის** ფილმებში განსახიერებული როლები მხოლოდ მცირე ჩამონათვალია მისი მდიდარი შემოქმედებიდან, გაგრძელება კი აუცილებლად იქნება!

**გილოცავთ, თხემით ტერფამდე ქართველო რაინდო, ჯაღარანარევ თარიღს. მრავალჟამიერ, ძვირფასო სეხნია!**

**გია პლატონიშვილი**



კადრი ფილმიდან „ხარება და გოგია“



# უდიდესი მიღწევა

**ფინეთის ქალაქ სანვოლინოში ჩატარებულ წმინდა ოლაფის ტრადიციულ ფესტივალს წელს პირველად დაემატა ძალოსნური სპორტის (Strongman) დისციპლინა, სადაც წარმატებით იასპარეზა ქართველმა სპორტსმენმა ჭაბუკა ჭილაძემ და მესამე ადგილი დაიკავა. ორდღიანი შეჯიბრი სულ 8 სხვადასხვა ურთულეს და არასტანდარტულ მოძრაობას მოიცავდა.**

ტურნირის მასშტაბურობასა და მაღალ კონკურენციას მსოფლიო დონის ათლეტების მონაწილეობა განაპირობებდა:

**პირველ დღეს სტარტზე 10 ქვეყნის 16 საუკეთესო სპორტსმენი გამოვიდა. 3 მოძრაობისა და მოპოვებული სარეიტინგო ქულების საფუძველზე, ფინალში გადასასვლელად მხოლოდ 8 ათლეტი შეირჩა. მათ შორის ერთ-ერთი ჭაბუკა ჭილაძე იყო. მეორე, ფინალურ ეტაპზე 8 საუკეთესომ პირველობისთვის ბრძოლა დარჩენილ დისციპლინებში გააგრძელა. მოუხერხებელი, არასტანდარტული მოძრაობებისა და მეტოქეთა მაღალი კლასის მიუხედავად, ქართველმა სპორტსმენმა ყველა გამოწვევას თავი წარმატებით გაართვა. საბოლოო ჯამში, 16 ძლიერ ათლეტს შორის ქართველ სპორტსმენს მე-3 საპრიზო ადგილი ერგო და კვარცხლბეკზე საქართველოს დროშა აღმართა.**

აღნიშნული შედეგი როგორც სპორტსმენისთვის, ასევე საქართველოში არაოლიმპიური სპორტის და Strongman-ის განვითარებისთვის უდიდესი მიღწევაა.

# ლეგენდამ დაგვაფასა

**დუაიტ ჰოვარდი საქართველოში ითამაშებს. გუშინ ლეგენდარულმა ამერიკელმა ცენტრმა, რომელსაც მისი შეუზღუდავი შესაძლებლობების გამო „სუპერმენად“ მოიხსენიებენ, სუპერლიგის კლუბ „ბლეკ ფორტრესთან“ კონტრაქტი გააფორმა და სულ მალე ქართველი გულშემატკივრის წინაშე წარდგება.**

NBA-ის ჩემპიონი და დიდების დარბაზის წევრი, „ოლ სტარის“ 8-გზის მონაწილე და ზედიზედ სამი სეზონის განმავლობაში პლანეტის უძლიერესი ლიგის საუკეთესო მცველად აღიარებული 40 წლის კალათბურთელი საკუთარი ინსტაგრამის გვერდით წარდგა ქომაგთა წინაშე და ოფიციალურად დაადასტურა, რომ საქართველოში მოდის და თბილისური აუდიტორიის წინაშე „ბლეკ ფორტრესის“ მაისურით ითამაშებს.




მას შემდეგ, რაც NBA-ში კარიერა დაასრულა, ჰოვარდი სათამაშოდ ტაივანში წავიდა. იგი სპეციალური ტურნეს მეშვეობით სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირზე გამოდიოდა და ძირითადად გუნდებთან მოკლევადიან კონტრაქტებს აფორმებდა. ამჯერად მან ქართულ კლუბთან ერთთვიან შეთანხმებას მოაწერა ხელი. ამ პროექტის ფარგლებში ცოცხალი ლეგენდა ბოლოს მონღოლეთს ეწვია და SG Apes-ის შემადგენლობაში იასპარეზა.

ახლა იმაზეც ვთქვათ, „ბლეკ ფორტრესი“ როგორ აღმოჩნდა სუპერლიგაში, როცა გუნდი გასული სეზონის „ა“ ლიგის ნახევარფინალში „ლიბერთისთან“ დამარცხდა. ფორტრესელები გაერთიანდნენ სუპერლიგის კლუბ „რაშთან“, რომლისგანაც გუნდის დასახელების ექსკლუზიური უფლება მიიღეს. თავად „ლიბერთიც“, რომელმაც ფინალში „კასპის გრიფინი“ დაამარცხა და სუპერლიგის საგზური მოიპოვა, „ა“ ლიგიდან გავარდნილ „ახალციხესთან“ გაერთიანდა და მომავალ სუპერლიგაში სამცხე-ჯავახეთის რეგიონს „ახალციხის“ სახელით წარმოადგენს.

**დუაიტ ჰოვარდი ერთადერთი კალათბურთელია, რომელსაც ნბა-ს სეზონის საუკეთესო მცველის ტიტული ზედიზედ სამ სეზონში (2008-2009, 2009-2010, 2010-2011) აქვს მოგებული.**

# სასარგებლო მოთელვა

**„შავმა ლომმა“ 2026/27 წლების სეზონის პირველ მატჩში, „ევჭალაზე“ გაერთიანებული რაგბის ჩემპიონატის (URC) იტალიურ გუნდს, „ბენეტონს“ უმასპინძლა და სასარგებლო გამოცდილება შეიძინა.**

მართალია, შეხვედრა სტუმრების გამარჯვებით დასრულდა (36:14), თუმცა ამ ეტაპზე შედეგზე ბევრად მეტად სხვა ფაქტორები იყო საინტერესო. გუნდმა პირველად ითამაშა **პიერ-ანრი ბრონკანის** ხელმძღვანელობით, რამდენიმე მორაგბემ კი პირველად მოირგო „შავი ლომის“ კვართი. სასიხარულოა, რომ მათი უმრავლესობა ჯერ ძალიან ახალგაზრდაა და აქ მიღებული გამოცდილება, მომავალ შეხვედრებში ძალიან წაადგებათ.

სამწვრთნელო შტაბისთვის საინტერესო იყო მოთამაშეების საქმეში ხილვა, თანაც ისეთ ძლიერ მეტოქესთან, როგორიც „ბენეტონია“ და გუშინ მოედანზე ჯამში 32 მორაგბე გავიდა. მიუხედავად იმისა, რომ ბურთს უმეტესად მეტოქე აკონტროლებდა, მწირი შესაძლებლობებისას გამოჩნდა პოტენციალი, რომელთა დახვეწისა და შეთამაშების შემდეგ, „შავი ლომი“ შეტევაში უფრო შემოქმედებითი იქნება და ოფიციალურ შეხვედრებში (ჩელენჯ თასზე), მეტოქეებს არაერთ პრობლემას შეუქმნის.

იყო ეფექტური მომენტებიც და იტალიელებს ოთხი ლელო გავუტანეთ, რომელთაგან ორი მცირედი წინთამაშის გამო გაუქმდა. პრობლემები გვქონდა დისციპლინის მხრივ, რასაც ჯარიმებთან ერთად ყვითელი ბარათებიც მოყვა და იყო უნებლიე შეცდომებიც, რის გამოც მეტოქისგან სამი ლელო მივიღეთ, სულ კი იტალიელებმა ექვსი ლელო მიითვალეს.

შეხვედრა სტუმრების შეტევებით დაიწყო და ხაზის გაჭრის შემდეგ ლელო გარდაუვალი ჩანდა, მაგრამ ბოლო მომენტში თავის დაცვა მოვახერხეთ. მე-8 წუთზე მეტოქემ მორკინალებით შემოგვიტია და მერე ბურთი ხაზზე გაიტანა, რასაც ბურთზე ხელის დარტყმისთვის რომა მახათაძის სინბინი მოყვა. კაცნაკლულმა მასპინძლებმა თითქმის მთელი 10 წუთის განმავლობაში თავი დაიცვეს, მაგრამ მე-18



წუთზე მოლს ლელო მაინც მოყვა და ანგარიში გაიხსნა.

გაშვებული ლელოს შემდეგ „შავი ლომი“ გააქტიურდა, ფაზები აკინძა და მეტოქის ლელოს 5 მეტრამდე მიუახლოვდა. იქ „ბენეტონმა“ გადაცემა ჩაჭრა და კონტრშეტევაზე ლელო გარდაუვალი ჩანდა, თუმცა აკა ტაბუცაძე ეპიზოდს არ გამოეთიშა, სისწრაფის ხარჯზე მანძილში მნიშვნელოვანი ჩამორჩენა დაფარა და ჩვენს 5-მეტრიანთან შესრულებული ბოჭვით გუნდი 100%-იანი ლელოსგან იხსნა.

37-ე წუთზე ტაბუცაძემ ერთხელაც გაიბრწყინა, ამჯერად შეტევაში. მოლის შემდეგ მარცხენა ფრთიდან ბურთი მარჯვენა ფრთაზე ბოლომდე ჩათამაშდა, ლუკა ცირეკიძემ ბოლო მცველი აიყვანა და ოვალი ტაბუცაძეს გაატანა, რომელმაც ის ლამაზ ნახტომში ალამთან ცალი ხელით დაამიწა. ცირეკიძემ ურთულესი პოზიციიდან გარდასახა და დაგვაწინაურა, მაგრამ თამაში რომ განახლდა პირველი ბურთი ვერ ავიღეთ და ფაქტობრივად არაფრისგან ლელო მივიღეთ – 7:10.

მეორე ტაიმი ცუდად დავიწყეთ. დებიუტშივე ტაბუცაძე სინბინით დაისაჯა და ერთ წუთში მესამე ლელო მივიღეთ. 48-ე წუთზე ცირეკიძეს 22-იდან ფეხით მოგერიებისას დაუფარეს და მეოთხე ლელოს ზუსტი გარდასახვა მოყვა. 58-ე წუთზე იტალიელმა ფორვარდებმა ფაზები აკინძეს და მორიგი ლელო მიითვალეს, ათ წუთში კი ბურთი 22-ის მისადგომებთან დავკარგეთ, „ბენეტონი“ შეტევაზე სწრაფად გადაერთო და უპირატესობა 29 ქულამდე გაზარდა.

თამაში რომ განახლდა შოთა ხელაძემ რაქიდან გამოვარდნილი ბურთი აიტაცა და ლელომდე სულ ცოტა დააკლდა, რამდენიმე ფაზის შემდეგ კი მიზანს გიორგი სინაურიძემ უწია, მაგრამ საქმეში ვიდეო რეფერი ჩაერთო და რაქში წინთამაშის გამო ეს ლელო გაგვიუქმდა. ხელაძეს კარგი გარჯა 74-ე წუთზე დაუფასდა. ფორვარდებმა ფაზები აკინძეს და ყველა ჯერზე შეძლეს უპირატესობის ხაზის გადაკვეთა, ხელაძემ კი ლელო გაიტანა და მონაგარს გარდასახვიდან ორი ქულა მათე მახარაძემ შემატა. ბოლო წუთზე ოფლოუდის შემდეგ ხაზი თემურ ძოძუაშვილმა გაჭრა და ლელო გარდაუვალი ჩანდა, თუმცა გამეორებაზე გამოჩნდა, რომ დამიწებამდე მან ვარდნისას ბურთზე კონტროლი დაკარგა და თამაში 14:36 დასრულდა. ახლა „შავი ლომი“ ინგლისში გაემგზავრება, სადაც 18 სექტემბერს პრემიერშიფის ჩემპიონ „ნორთჰემპტონთან“ ამხანაგურ შეხვედრას გამართავს.

# საპატიო შედარება

**„ფროზინონეს“ ფეხბურთელმა გიორგი კვერნაძემ „ჯენოასთან“ მატჩის (1:1) შემდეგ ტელეკომპანია DAZN-თან კომენტარი გააკეთა.**

როგორც მან თქვა, მისთვის **ხვიჩა კვარაცხელიასთან** შედარება სასიხარულო და საპასუხისმგებლოა:

**„ბედნიერი ვარ, რომ მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად დამასახელეს, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი 3 ქულის მოპოვება იქნებოდა. კარგად ვითამაშეთ, თუმცა, „ჯენოა“ კარგი გუნდია. ერთიანი გუნდი ვართ მოედანზე და მოედნის გარეთ, რაც მატჩების მოგებაში გვეხმარება. პატარა კვარაცხელია ვარ? შედარება თან სასაცილოა და თან მიხარია, მაგრამ პასუხისმგებლობასაც მაკისრებს, რომ უფრო მეტი გავაკეთო“,** – თქვა გიორგიმ.



შეგახსენებთ, რომ კვერნაძემ სერია A-ში ზედიზედ მეორე შეხვედრაში გაიტანა. ოთხ თამაშში მან თავი 2 გოლით და 1 საგოლე პასით გამოიჩინა. ამასთან, იტალიის თასის ერთ შეხვედრაში 2 გოლი და 1 ასისტი მიითვალა.

„ფროზინონე“ 7 ქულით მეშვიდე ადგილზეა და მომდევნო ტურში 20 სექტემბერს, „კომოს“ უმასპინძლებს.

გასულ უქმეებზე ასისტები მიითვალეს აგრეთვე **გიორგი ქოჩორაშვილმა** ესპანეთის ლა ლიგაში (სევილია – ვალენსია 1:0) და **ზურიკო დავითაშვილმა** საფრანგეთის ლიგა – 2-ში (დიუნკერკი – სენტ ეტიენი 2:1).

# ყინული ზღვაზე

**24-26 სექტემბერს აჭარაში ფიგურულ სრიალში იუნიორთა შორის გრან პრის სერიის მეხუთე ეტაპი გაიმართება.**

ბათუმის სასპორტო ცენტრის ყინულის არენაზე სულ 37 ქვეყნის 100 -მდე სპორტსმენი მიიღებს მონაწილეობას საერთაშორისო საციგურაო კავშირის ეგიდითა და საქართველოს ფიგურული ციგურაობის ფედერაციის ორგანიზებით დაგეგმილ ამ საერთაშორისო ტურნირზე. ბიჭების კატეგორიაში 26, გოგონების 35, ხოლო სპორტული ცეკვების კატეგორიაში 19 წყვილი იასპარეზებს გამარჯვებისა და ფინალში გადასასვლელად სარეიტინგო ქულების მოსაპოვებლად.

ტურნირს დაესწრება 37 ქვეყნის დელეგაციის 300-მდე წარმომადგენელი, მათ შორის მწვრთნელები, მსაჯები, ოფიციალური პირები და სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული მხარდამჭერთა ჯგუფები.

გაგაცნობთ ტურნირის განრიგს:

**24 სექტემბერი** – (მოკლე პროგრამები) 14:00 – ბიჭები, 18:10 – გოგონები.

**25 სექტემბერი** – 15:30 – რიტმული ცეკვა 18:40 – ბიჭები (თავისუფალი პროგრამა).

**26 სექტემბერი** – 12:15 – თავისუფალი ცეკვა, 15:40 – გოგონები (თავისუფალი პროგრამა).

ISU FIGURE SKATiNG JUNIOR GRAND PRIX BATUMI

ფიგურული ციგურაობის ქართველ ქომაგებს ლამაზი და საინტერესო სანახაობა ელით. ვუგულშემატკივროთ ჩვენი ნაკრების წევრებს ერთეულთა კატეგორიაში: ინგა გურგენიძეს, ქეთევან მახარაძესა და მაკარ ნიკოლაევს.

ინგა გურგენიძე ბათუმის ეტაპამდე იასპარეზებს თურქეთში გრან პრის სერიის მე-4 ეტაპზე ამალია ნასიბულინასთან ერთად, ხოლო ქეთევან მახარაძე, მაკარ ნიკოლაევი და სპორტული წყვილი ზლატა კამალოვა/ დანიილ პანოვი კი ბოლო, მე-7 ეტაპზე პოლონეთში.

# საბოტაჟის, ღალატის და... მხოლოდ 4 წელი?!

## პროკურატურამ გია ბარამიძე სამშობლოს ღალატის ბრალდებით დააკავა!




**საქართველოს** პროკურატურამ □ნაციონალური მოძრაობის□ ერთ-ერთი ლიდერი, შინაგან საქმეთა და თავდაცვის ყოფილი მინისტრი (2003-2004წწ) **გია ბარამიძე** სამშობლოს ღალატის, კერძოდ, საბოტაჟის ბრალდებით სასამართლოს განჩინების საფუძველზე დააკავა, – ამის შესახებ უწყებაში გამართულ ბრიფინგზე გენერალური პროკურორის მოადგილე **ამირან გულუაშვილმა** განაცხადა.

როგორც გულუაშვილმა აღნიშნა, ბრალდება 4-წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

**□საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ მიმდინარე წლის ივლისში იაგო ხვიჩიას საავტორო გადაცემაში □□საქართველოს დაბადება□ გიორგი ბარამიძემ განაცხადა, რომ 1992-1993 წლების აფხაზეთის შეიარაღებული კონფლიქტის საწყის ეტაპზე, ქართული შეიარაღებული ძალების წარმომადგენლებს ტყვეები არ აჰყავდათ და მათ ადგილზე ხვრეტდნენ, რითაც საქართველოს შეიარაღებულ ძალებს ბრალი დასდო საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების დარღვევასა და ომის მძიმე დანაშაულების ჩადენაში.**

**საქართველოს პროკურატურის მიერ ჩატარებული გამოძიებით უტყუარად გამოირიცხა, შეიარაღებული კონფლიქტისას საქართველოს შეიარაღებული ძალების წარმომადგენლების თუ ომის მონაწილეთა მხრიდან ტყვეთა დახვრეტის ფაქტები, რაც საზოგადოებისათვის თუ საერთაშორისო თანამეგობრობისთვისაც ამ დრომდეც ისედაც ცნობილი იყო და არასდროს გამხდარა დისკუსიის საგანი.**

**გიორგი ბარამიძის მიერ გავრცელებული ინფორმაცია უსაფუძვლო და გამოგონილია, ატარებს მიზანმიმართულ, იდეოლოგიურ-საინფორმაციო ხასიათს და ემსახურება საქართველოს სახელმწიფოებრივი და ეროვნული ინტერესების, საგარეო უსაფრთხოების, თავდაცვისუნარიანობისა და სახელმწიფო ინსტიტუტების დაზიანებას.**

**გიორგი ბარამიძის განცხადებით, შეილახა საქართველოს საერთაშორისო ავტორიტეტი და იმიჯი, აგრეთვე შეიქმნა სამართლებრივი და პოლიტიკური რისკები საერთაშორისო ინსტანციებში საქართველოს წინააღმდეგ მიმართული საინფორმაციო კამპანიის და იურიდიული პროცედურების გაძლიერებისა და გამოყენებისათვის. მისმა განცხადებამ ზიანი მიაყენა საქართველოს თავდაცვის ძალების რეპუტაციას, შეილახა აფხაზეთის ომის მონაწილე ვეტერანებისა და დაღუპული სამხედრო მოსამსახურეების პატივი და ღირსება. ამავდროულად, გიორგი ბარამიძის ქმედებამ, საფრთხე შეუქმნა კონფლიქტით დაზარალებულ მოსახლეობასთან შერიგებისა და ნდობის აღდგენის პროცესს, დააზიანა საქართველოს სამშვიდობო და დეოკუპაციის პოლიტიკა და ხელი შეუშალა სახელმწიფო უწყებების ნორმალურ ფუნქციონირებას, მათ შორის საქართველოს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის საქმიანობის განხორციელებას და მის მიერ ნდობის აღდგენისა და თანამშრომლობის მიმართულებით შექმნილი მექანიზმების ეფექტიან ფუნქციონირებას.**

**ჩატარებული გამოძიების შედეგად, მოპოვებული მტკიცებულებების საფუძველზე, გიორგი ბარამიძეს ბრალდება სამშობლოს ღალატის, კერძოდ საბოტაჟის ფაქტზე წარედგინება, რაც სასჯელის სახედ და ზომად 4 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.**

**ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების მოთხოვნით, პროკურატურა სასამართლოს კანონით დადგენილ ვადაში მიმართავს. საქმეზე გამოძიება გრძელდება და მისი მიმდინარეობის და შედეგების თაობაზე საზოგადოებას დამატებით მივაწვდით ინფორმაციას□..**

# ამ თანხისთვის ღირდა თაღლითობა!

პროკურატურის ცნობით, დანაშაულებრივი ჯგუფის სხვა წევრების გამოვლენის მიზნით, სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება გრძელდება:

**„გამოძიებით დადგინდა, რომ მატერიალური სარგებლის უკანონოდ მიღების მიზნით, წარსულში თაღლითობისთვის სამჯერ ნასამართლევმა ბრალდებულმა, ორგანიზებული ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად, შექმნა დანაშაულებრივი ჯგუფი, რომლის მიზანს წარმოადგენდა გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ გამარჯვებაში მდებარე, უცხო ქვეყნის მოქალაქის საკუთრებაში არსებული, 2 640 000 ლარის ღირებულების მიწის ნაკვეთის მოტყუებით და მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლება.**

**ორგანიზებული ჯგუფის წევრებმა 2026 წლის მაისში ნოტარიუსს წარუდგინეს თითქოსდა საბერძნეთში გაცემული ყალბი მინდობილობა, რომლის თანახმადაც დაზარალებული ერთ-ერთ ბრალდებულს მიწის ნაკვეთთან დაკავშირებით სრულ წარმომადგენლობით უფლებამოსილებას, მათ შორის განკარგვის უფლებას ანიჭებდა. ყალბი მინდობილობის გამოყენებით ბრალდებულებმა გააფორმეს ნასყიდობის ხელშეკრულება და ნოტარიუსისა და მარეგისტრირებელი ორგანოს მოტყუებით, დაჩქარებული წესით მიწის ნაკვეთი ერთ-ერთი ბრალდებულის სახელზე დაარეგისტრირეს.**

**უკანონოდ დაუფლებული ქონებისთვის კანონიერი სახის მიცემის და განსაკუთრებით დიდი ოდენობით უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის მიზნით, ბრალდებულებმა სსიპ □საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს□წარუდგინეს ფიქტიური ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც დანაშაულებრივად დაუფლებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლება ერთი ბრალდებულიდან ჯგუფის სხვა წევრზე უნდა გადასულიყო. თუმცა, გამოძიების მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, მარეგისტრირებელმა ორგანომ სარეგისტრაციო წარმოება შეაჩერა, რის გამოც ბრალდებულებმა დანაშაულებრივი განზრახვის ბოლომდე განხორციელება ვერ შეძლეს.**

**ბრალდებულს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის □ბ□ქვეპუნქტითა და მე-4 ნაწილის □ა□ „ბ“ ქვეპუნქტებით (თაღლითობა, ესე იგი მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის დაუფლება მოტყუებით, ჩადენილი დიდი ოდენობით, ორგანიზებული ჯგუფისა და იმის მიერ, ვინც სამჯერ იყო ნასამართლევი სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის) და 19.194-ე მუხლის მე-3 ნაწილის □ა□და □გ□ქვეპუნქტებით (უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის მცდელობა, ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ, რასაც თან ახლდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება) წარედგინა, რაც სასჯელის სახით 12 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.**

**პროკურატურა ბრალდებულისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შუამდგომლობით სასამართლოს კანონით დადგენილ ვადაში მიმართავს.**

**სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება გრძელდება დანაშაულებრივი ჯგუფის სხვა წევრების გამოვლენის მიზნით.**

**საზოგადოებას შევახსენებთ, რომ აღნიშნულ ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ზემოაღნიშნული მუხლებით, დაკავებულია 6 პირი, რომლებსაც აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა აქვთ შეფარდებული.**

**საქართველოს პროკურატურა, მსგავსი კატეგორიის დანაშაულის ჩამდენ პირთა მიმართ მკაცრ სისხლისსამართლებრივ პოლიტიკას ატარებს, რასაც მომავალშიც გააგრძელებს,“** – აღნიშნულია განცხადებაში.

## პროკურატურამ ორგანიზებული ჯგუფის მიერ 2 640 000 ლარის ღირებულების მიწის ნაკვეთის თაღლითურად დაუფლების და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის მცდელობის ფაქტებზე ერთი პირი დააკავა

# ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო და შემოსავლების სამსახურების უფროსებმა თანამდებობები დატოვეს

**ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის, ასევე შემოსავლების სამსახურის უფროსებმა თანამდებობები დატოვეს,** ინფორმაცია □მედინიუსს□ორივე უწყების პრესსამსახურში დაუდასტურეს.

მათივე ინფორმაციით, ახალი ხელმძღვანელების წარდგენა დღეს, ორშაბათს გაიმართება.




# პოლიციამ თბილისში განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკი ამოიღო!

**შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თბილისის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, საბრძოლო მასალისა და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებების უკანონო შეძენა-შენახვის, რეალიზაციის ხელშეწყობის, ასევე ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის უკანონო კულტივირების ბრალდებით სხვადასხვა დროს ორი პირი დააკავეს.**

შსს-ს ცნობით, სამართალდამცველებმა ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, მათ შორის ბრალდებულების პირადი და საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებები: **□ალფა-პვპ□, □მცენარე კანაფი□და □გამომშრალი მარიხუანა□ამოიღეს. ერთ-ერთი დაკავებულისგან ამოღებულია ცეცხლსასროლი იარაღისთვის განკუთვნილი ვაზნები.**

ასევე ამოღებულია ნარკოტიკების დაფასოებისთვის საჭირო მასალები.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე, 260-ე კვარტა, 265-ე პრიმა და 236-ე მუხლებით მიმდინარეობს, რაც 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

# პატრიარქი ჯემალ ბაღაშვილს 85 წლის იუბილეს ულოცავს






**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი შიო III ჯემალ ბაღაშვილს 85 წლის იუბილეს ულოცავს.**

**„ბატონი ჯემალ ბაღაშვილი თავისი გამორჩეული ნიჭით, იუმორით, გულწრფელობითა და კაცთმოყვარეობით სიხარულს, სიკეთესა და სითბოს უზიარებს სხვადასხვა თაობის მსმენელს. დღეს ქართული საესტრადო ხელოვნება წარმოუდგენელია მისი შემოქმედების გარეშე. გულითადად ვულოცავთ ბატონ ჯემალს საიუბილეო თარიღს „დაბადებიდან 85 წელს და ვუსურვებთ მხნეობას, მრავალჟამიერ სიცოცხლესა და კვლავაც წარმატებულ შემოქმედებით საქმიანობას.**

**ღმერთმა დალოცოს ბატონი ჯემალი და მისი ოჯახი“.**

## პოეტ ნინო მოდრეკილაძის ლექსები აზერბაიჯანულ ენაზე



**სულ მალე პოეზიის მოყვარულები ქართველი პოეტი ქალის, ნინო მოდრეკილაძის ლექსების კრებულის „ყოფნა“ აზერბაიჯანულ თარგმანს იხილავენ.**

წიგნი იბეჭდება კულტურის სამინისტროსა და შემოქმედებითი საქართველო/Creative Georgias ფინანსური მხარდაჭერით.

გამომცემლობა Bookstore „Saqtsigni“-წიგნის მაღაზია „საქწიგნი“; რედაქტორი – **ლია მეტრეველი**, მთარგმნელი – **სამაია მამედოვა.**

# სოფელ როდინაულში ახალი სკოლა აშენდა

**ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელი დირექტორი გიორგი შონია, იმერეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილესთან, ბესიკ გოფოძესთან ერთად, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ როდინაულისა და ქალაქ ბაღდათის N1 საჯარო სკოლებში ჩატარებულ სამუშაოებს ადგილზე გაეცნო.**

ინფრასტრუქტურის სამინისტროს ინფორმაციით, სოფელ როდინაულის ახალი სკოლა 120 მოსწავლეზეა გათვლილი, ხოლო სრულად განახლებული ბაღდათის N1 საჯარო სკოლა 290 მოსწავლეს მიიღებს. ორივე სკოლაში თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად მოეწყო საკლასო ოთახები, ბიბლიოთეკები და ლაბორატორიები, ასევე, ეზოები, სპორტული მოედნები, გათბობის, წყალმომარაგებისა და კანალიზაციის სისტემები.

# ღიმილი...

**...იცით თუ არა, რომ კორუფციასთან ბრძოლა გაცილებით უფრო სარფიანი საქმეა, ვიდრე თავად კორუფცია?**

* * *

**გამოტყდით, რომ სამსახურში ყოფნისას, უცბად ფიქრი შემოგიჩნდებათ: „ნეტავი ფული სად შეიძლება რომ ვიშოვნო?“**

* * *

**თუკი ბავშვობაში თქვენ არ გქონდათ ველოსიპედი, ახლა კი „მერსედესით“ დაბრძანდებით, ამას მაინცდამაინც დიდი მნიშვნელობა არა აქვს იმ მარტივი მიზეზით, რომ ბავშვობაში ველოსიპედი მაინც არ გქონდათ!**



* * *

**„საზოგადოებრივი აზრის კვლევებს“ იმ აზრამდე მივყავართ, რომ მას არათუ არავინ ითვალისწინებს, არამედ საერთოდაც საკითხავია – არსებობს თუ არა ის სინამდვილეში?**

* * *

**ცხოვრება ტანგოს ჰგავს – ის აღსავსეა უცნაური მოძრაობებით, თანაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს როგორც თავად მუსიკას, ისე პარტნიორს.**

* * *

**ეშმაკმა თქვა – ყველაფერს მე ნუ დამაბრალებთ, თქვენ კაი მაიმუნები ხართ, ადამიანებო!**

# ქობულეთში ზვიად გამსახურდიას ძეგლი დაიდგა



**აჭარაში, ქალაქ ქობულეთში, საქართველოს პირველი პრეზიდენტის, მწერალ ზვიად გამსახურდიას ძეგლი დაიდგა.**

ძეგლის ავტორები არიან: გიორგი კიკვაძე და ირაკლი ჟვანია.

**„დავასრულეთ ზვიად გამსახურდიას ძეგლი ქობულეთში“,** – წერს არქიტექტორი **ირაკლი ჟვანია** სოციალურ ქსელში.

# მუხრან მაჭავარიანის სახელობის ლიტერატურული კონკურსი!

**საჩხერის მუნიციპალიტეტის მერია უკვე წლებია წარმატებით მართავს ტრადიციულ ლიტერატურულ კონკურსს „მუხრანის პრემია – პოეტური მინიატურები“ და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს!**

თუ წერთ ლექსებს ან მინიატიურულ პროზას და გსურთ თქვენი შემოქმედება ფართო საზოგადოებას გააცნოთ, გამოიყენეთ ეს შესაძლებლობა.




**კონკურსის პირობები:**

**მონაწილეთა ასაკი: 18 წლიდან (ნებისმიერი დაინტერესებული პირი);**

**ნომინაციის არჩევანი: მონაწილეს უფლება აქვს, ნაწარმოები წარადგინოს მხოლოდ ერთ-ერთ ნომინაციაში (პოეზია ან პროზა). პოეტური ტექსტის ავტორს არ აქვს უფლება, მონაწილეობა მიიღოს მინიატიურული მოთხრობის ნომინაციაში და პირიქით;**

**პოეზია: 2-დან 6 სტრიქონამდე ლექსი (თითოეულ ავტორს შეუძლია გამოაგზავნოს არაუმეტეს 3 ტექსტისა);**

**პროზა: მაქსიმუმ 50-სიტყვიანი მინიატიურული მოთხრობა შეკრული კომპოზიციური სტრუქტურითა (დასაწყისი, კულმინაცია, დასასრული) და აზრობრივი სიღრმით (გამოიგზავნება მხოლოდ 1 მოთხრობა);**

**მნიშვნელოვანი: საკონკურსოდ წარმოდგენილი ნაწარმოებები უნდა იყოს გამოუქვეყნებელი.**

**საპრიზო ფონდი: I პრემია-1250 ლარი; II პრემია-1000 ლარი; III პრემია-750 ლარი; საუკეთესო პროზაული მინიატიურა-750 ლარი.**

**გამოაგზავნეთ თქვენი ნამუშევარი ელექტრონულ მისამართზე: mukhranispremia@gmail.com.**

**წერილში აუცილებლად მიუთითეთ: ავტორის სახელი და გვარი, საკონტაქტო ნომერი, სამუშაო/საცხოვრებელი ადგილი ან სასწავლებელი.**

**ნამუშევრების მიღების ბოლო ვადაა 30 სექტემბერი!**

გამარჯვებულ ნაწარმოებებს გამოავლენს ჟიური. დაჯილდოება გაიმართება მიმდინარე წლის შემოდგომაზე, სოფელ არგვეთში, მუხრან მაჭავარიანის სახლ-მუზეუმში.

**დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით: 577 97 74 63;599 99 91 63**

# ვენეციის 83-ე კინოფესტივალის გამარჯვებული გახდა „ქალი უცნობი“

**ვენეციის 83-ე კინოფესტივალის გამარჯვებულები დასახელდნენ. მთავარი ჯილდოს, „ოქროს ლომის“ მფლობელი დანიელი რეჟისორის, მაი ელ-ტუკის ფილმი „ქალი უცნობი“ გახდა.**

ჟიურის დიდი პრიზი ლის ჩანდონის სურათმა „შესაძლო სიყვარულმა“ მიიღო.

**ჯილდო „ვერცხლის ლომი“ საუკეთესო რეჟისურისთვის ილია ხრჟანოვსკის გადაეცა ფილმისთვის „დაუ“.**

ჟიურის სპეციალური პრიზი ერგო ისრაელელი რეჟისორების, იუვალ აბრაჰამისა და რაჰელ შორის დოკუმენტურ ფილმს NAZA.

**კაცის და ქალის როლის საუკეთესო შესრულებისთვის ჯილდოები („ვოლპის თასი“) ჯონ მალკოვიჩმა („ველური ცხენი ნომრით ცხრა“) და მატილდა არსელმა („ქალი, უცნობი“) მიიღეს.**

**საუკეთესო სცენარის ნომინაციაში გამარჯვება სტეფან ბრიზეს, კორალი ამედეოსა და ოლივიე გორსეს („კარგი პატარა ჯარისკაცი“) ერგოთ.**




საქართველოს რესპუბლიკა

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35)

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04)

შემოქმედებითი ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი,**
**თემურ ქორიძე,**
**ოთარ ტურაბელიძე,**
**გია პლატონიშვილი.**

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17)

ტექნიკური რედაქტორი:
**კახა ქორიძე.**

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია,**
**მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი.**

**მისამართი:**
თბილისი,
აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
**sak@sak.ge**

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმოტექილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე.

იბეჭდება სტამბა „ტორში“
ზიგზაგის ქუჩა N6

uac(უაკ)070.4(479.22)
C—323

2 009882 689431

**რეკლამისთვის დარეკეთ:**
**577-77-27-17**
rkobulia29@gmail.com
ნებისმიერი თანხა ჩარიცხეთ ანგარიშზე:
GE90BG0000000538329790

**მომდევნო ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 17 სექტემბერს**